

საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური გადაცემების შეფასება

პერიოდი: 10 ნოემბერი-10 დეკემბერი, 2018

შინაარსი

1. ყოველდღიური გადაცემები
 - მოამბე
 - არჩევნები 2018
2. ყოველკვირეული გადაცემები
 - ახალი კვირა
 - რეალური სივრცე
 - 42-ე პარალელი
 - კვირის ინტერვიუ
 - აქტუალური თემა
3. არხის პოლიტიკური გადაცემების საერთო შეფასება
4. დასკვნა
5. დანართი

გადაცემების დეტალური ანალიზი

1. ყოველდღიური გადაცემები: „მოამბე“ და „არჩევნები 2018“

„მოამბე“

გადაცემა გაწეულია და აკლია დინამიკა. 10.12. -ის „მომბემში“ ოთხჯერ განხორციელდა ჩართვა სარალიძის აქციიდან, რომელიც პარლამენტის წინ იმართებოდა. აქედან ორ ჩართვაში რაიმე ახალი, დამატებითი ინფორმაცია წინა ჩართვებთან შედარებით არ იყო წარმოდგენილი. გამუდმებით ხდებოდა გამეორება ექვსი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ აქციის ორგანიზაციის თაობაზე, მაგრამ არცერთი მათგანი არ დასახელებულა.

გადაცემის წამყვანს ხელში ეჭირა და მარაოსავით აფრიალებდა წარწერას - მოამბე. გაურკვეველია, ეს რას ემსახურებოდა.

„მომბის“ 12.11-ის გადაცემაში შკლიაროვის სტატიის შინაარსი მიკერძოებულად იქნა გადმოცემული არეულობის პროგნოზირებასთან დაკავშირებით. მის ტექსტში, რომელიც გადაცემაში იყო მოყვანილი, ეს ცალსახად არ იკითხებოდა.

ამგვარი ინფორმაციის გადაცემისას ხშირად იკვეთება ის, თუ ვის მხარეზე დგას რედაქცია, რაც საფრთხეს უქმნის გადაცემის ობიექტურობას.

ზოგადად „მომბის“ ფორმატი ორი წამყვანით და მათ შორის როლების დაყოფით არ მიმაჩნია გამართლებულად. ხდება ერთი ტიპის, უფრო ხშირად გაწეული თხრობიდან ძალზე მოკლე, სწრაფად წაკითხულ ბლოკზე გადასვლა. ეს კი ართულებს გადაცემის შინაარსის აღქმას.

29.11-ის „მომბემ“ კარგად გააშუქა არჩევნების შედეგები, განსაკუთრებით ინფორმატიული იყო სიუჟეტი პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესახებ.

4.12-ის სიუჟეტი მართლწესრიგის ოფიცერის პროგრამის ამოქმედების თაობაზე ძალიან გრძელი და არაინფორმატიული იყო, ზედმეტად ბევრი ადამიანი იყო ქუჩაში გამოკითხული.

ზოგადად, ფორმატი ორი წამყვანით და მათ შორის როლების მკვეთრი გადანაწილებით, აღქმას ართულებს.

უცხოეთის ამბები ძალიან მწირად არის წარმოდგენილი, ბევრ შემთხვევაში იგრძნობა მიკერძოება.

პასუხები დასმულ კითხვებზე

1.ასახავს თუ არა მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, ხედვებისა და მოსაზრებების, პოლიტიკური იდეოლოგიების მრავალფეროვნებას და რამდენად დაბალანსებულად?

შეიძლება ითქვას, რომ „მოამბე“ დაბალანსებულია.

2.რამდენად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოპულარიზაციის მხრივ?

ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციაზე სიუჟეტები გადის და ეს მუდამ დადებით კონტექსტში ხდება, მაგრამ ვფიქრობ პოპულარიზაცია უფრო ფართე კუთხით უნდა იყოს განხილული და გადაცემაში ბევრად უფრო მეტად უნდა იყოს ასახული დასავლეთის ქვეყნებში განვითარებული მოვლენები.

3.რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები? დაბალანსებულად აშუქებს თუ არა ძირითად პოლიტიკურ ძალებს?

მიუკერძოებულობის მცდელობა არის.

4.რამდენად აქტუალურია ტოქშოუში შერჩეული დღის მთავარი თემა? ხომ არ ხდება მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მნიშვნელოვანი თემების გამოტოვება?

გადაცემაში დღის ყველა აქტუალური საკითხი არის განხილული.

5.რამდენად კვალიფიციურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანი/ავტორი? ფლობს თუ არა საკითხს, რომელსაც აშუქებს? რამდენად რელევანტური და კრიტიკულია დასმული კითხვები? რამდენად სწორად არის შერჩეული მოწვეული სტუმარი?

გამომდინარე გადაცემის ფორმატიდან, არ იკვეთება გადაცემის წამყვანის კვალიფიკაცია. სიუჟეტების პროფესიული დონე კი განსხვავებულია.

6.აძლევს თუ არა გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედიაში, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებს?

უმცირესობები და ისინი, ვისი ხმაც მედიაში არ ისმის, იშვიათად არიან წარმოჩენილი გადაცემაში.

„არჩევნები 2018“

13.11-ის გადაცემაში, რომელიც აბსნაძეს სამ ანალიტიკოსთან ერთად მიჰყავდა, განხილული იყო არჩევნების შედეგები. გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ოთხი მოწინააღმდეგის პირისპირ იყო და მასპინძლების დიდი მცდელობის მიუხედავად, მათზე აშკარად გაიმარჯვა. მეორე ნაწილის სტუმარი იყო ზურაბ ჯაფარიძე, რომელმაც კვალიფიციურად ისაუბრა ეკონომიკაზე, მაგრამ გაუგებარი იყო, რით იყო გამოწვეული გადაცემაში მისი მოწვევა.

ზოგადად, ობიექტურ რეალობას წარმოადგენს ის, რომ ძნელია გადაცემის ყოველდღიურ ფორმატში გაშვება, მით უმეტეს არჩევნების მეორე ტურით გამოწვეული მისი განანგრძლივების გამო, მაგრამ ამასთან ერთად, ვფიქრობ, სწორად არ იყო შერჩეული გადაცემის ფორმატი. ოთხი წამყვანი მეტ-ნაკლებად ერთსა და იმავე პოლიტიკურ სიმპათიებს იზიარებს, რაც ხელს არ უწყობს მწვავე დისკუსიის წარმართვას. უკეთესი იქნებოდა სტუდიის ანალიტიკოსები

სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, ან ორი განსხვავებული ძირითადი ძალის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ.

საკითხთან დაკავშირებით ანალიტიკოსები ყოველთვის მომზადებული არ არიან, არ აკრიტიკებენ და არანაირ ოპონირებას არ უწევენ სტუმრებს მმართველი პარტიიდან. ფაქტობრივად, რბილი კრიტიკის ერთეული შემთხვევების გარდა, მთელი სტუდია „ქართული ოცნების“ პოზიციას ამაგრებს. შესაბამისად, ამ გადაცემას დაბალანსებულს ვერ დავარქმევთ, მაშინ როდესაც სწორედ მას სჭირდება მხარეთა თანაბრად წარდგინება.

გადაცემების შინაარსი ყოველთვის არ არის გასაგები. მაგ.15.11-ის გადაცემაში განხილული იყო საერთაშორისო სასამართლოების ფუნქციები. მიუხედავად მოწვეული სტუმრის კვალიფიციური პასუხებისა, ამ სასამართლოებთან მიმართებაში საკითხი ბუნდოვანი დარჩა. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა წამყვანები უკეთ გაცნობიერებული რომ ყოფილიყვნენ საკითხში, ჩაძიებოდნენ და დამატებითი კითხვები დაესვათ რესპონდენტისთვის.

22.11-ის გადაცემაში დიდი დრო დაეთმო ტელევიზიის დირექტორის საკუთარ ეთერში გამოსვლის კრიტიკას, მაგრამ არაფერი თქმულა, ვინ იყო ეს დირექტორი და რას შეეხებოდა გამოსვლა.

ასევე იყო შემთხვევა, როდესაც შეიცვალა გადაცემის შინაარსი. 22.11-ის გადაცემაში დაანონსებული სტუმრები -გედენიძეები გადაცემაში არ გამოჩნდნენ, მაგრამ ამაზე არ გაკეთებულა კომენტარი.

მმართველი გუნდის მიერ შესრულებული და დაგეგმილი მოქმედების საჩვენებლად გადაცემაში მოწვეული იყვნენ მინისტრები. მინისტრები კარგად საუბრობდნენ, იძლეოდნენ საინტერესო ინფორმაციას, მაგრამ ამ გადაცემის ფორმატში მათი გამოსვლა ზედმეტად ხანგრძლივი იყო. ამისთვის შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ფორმატი მაგ. „მინისტრის ხედვა“, სადაც ყველა მინისტრს ექნებოდა ერთი და იგივე დრო მისი უწყების მოქმედებების განსახილველად.

საარჩევნო კონტექსტში უფრო საინტერესო და სამართლიანი იქნებოდა ოპოზიციის ხედვის გაგებაც მინისტრების მიერ წამოჭრილ საკითხებთან მიმართებაში.

29.11-ის გადაცემის მიზანს თუ წარმოადგენდა „ქართული ოცნების“ უახლოესი მიზნების და ერთ წელიწადში დაპირებული სასწაულის მექანიზმის გაგება, ეკა ბესელიას მოწვევა არ იყო გამართლებული. ამ შემთხვევაში პარტიის ლიდერი ან პრემიერ-მინისტრი უნდა მოეწვიათ.

ამავე გადაცემაში გამოჩნდა ერთგვარი გენდერული დისკრიმინაცია. ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო ბოლო პერიოდში, როდესაც ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ქალის საპირისპიროდ, საპირისპირო ძალის ასევე ქალი რესპონდენტი მოიწვიეს.

ირმა ინაშვილთან დისკუსია არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ პროცენტების უცვლელობის შესახებ წამყვანებისგან უფრო კონსტრუქციულ ჩარევას მოითხოვდა.

ზოგადად, წამყვანები ნაკლებად კრიტიკულად აფასებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების პასუხებს ოპოზიციის წარმომადგენლებთან შედარებით.

ამ გადაცემათა ციკლში, წამყვანები, როგორც წესი, გამოთქვამენ კრიტიკულ მოსაზრებას, მაგრამ არ უღრმავდებიან საკითხს, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირებთან საუბრისას, რაც გადაცემას მდორე ხასიათს ანიჭებს.

ეს ყოველდღიური გადაცემა ზოგადად გაწელილი იყო დროში. გასაგებია, რომ წამყვანებს უჭირდათ გადაცემაში წამოჭრილი თემების ყოველდღიურ რეჟიმში მომზადება. მათი ამგვარი დამოკიდებულება აისახა კიდევ წამყვანთა შვებაში, რომ დასრულდა არჩევნები და შესაბამისად, გადაცემების ეს ციკლი.

ინტერვიუები, მაგ.2.12-ის გადაცემაში ინტერვიუ ანა დოლიძესთან ზოგჯერ ფრაგმენტული იყო, აზრები ბოლომდე გამოთქმული არ იყო, ეს არც დისკუსია იყო და არც ინტერვიუ, რომელიც ნაუცბადევად დასრულდა.

იმავე გადაცემაში გაშვებული იყო შესაძლებლობა, საუბარი შეხებოდა იმ სპეციფიკას, რაც ქალ პრეზიდენტთან არის დაკავშირებული. რესპონდენტი მზად იყო ამაზე ესაუბრა, მაგრამ ამის შესაძლებლობა წამყვანებმა არ მისცეს. არადა ამ საკითხის დეტალური და სიღრმისეული განხილვა გახდებოდა ის, რაც არ იყო სხვა გადაცემებში განხილული.

კარგი იყო ინტერვიუ ჰააგის სასამართლოს წარმომადგენელთან. იგი კვალიფიციურად იყო აღებული, დასმული იყო ყველა საჭირო კითხვა სასამართლოს მანდატსა და პროცედურებთან მიმართებაში, ასევე დაკავშირებული იყო ოპოზიციის წინასაარჩევნო რიტორიკასთან.

პასუხები დასმულ კითხვებზე

1.ასახავს თუ არა მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები ხედვებისა და მოსაზრებების, პოლიტიკური იდეოლოგიების მრავალფეროვნებას და რამდენად დაბალანსებულად?

ზოგიერთ გადაცემაში იყვნენ მოწვეული „ქართული ოცნების“ და ოპოზიციის წარმომადგენლები. სტუდიაში მყოფი წამყვანთა ჯგუფი ერთი პოლიტიკური გემოვნების იყო, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ან კოლექტიურ თავდასხმას ან ისეთი კითხვების დასმას, რომელიც კარგი მხრივ წარმოაჩენდა რესპონდენტს.

2.რამდენად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოპულარიზაციის მხრივ?

ეს საკითხი, როგორც წესი, არ იყო განხილვის საგანი.

3.რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები? დაბალანსებულად აშუქებს თუ არა ძირითად პოლიტიკურ ძალებს?

როგორც აღვნიშნე პირველ კითხვაზე პასუხისას, გადაცემა არ იყო დაბალანსებული.

4.რამდენად აქტუალურია ტოქშოუში შერჩეული დღის მთავარი თემა? ხომ არ ხდება მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მნიშვნელოვანი თემების გამოტოვება?

დღის აქტუალური თემა იყო განხილული, მაგრამ ასეთი თემების სიმცირის გამო გადაცემის ალბათ ნახევარი არააქტუალურ თემებს ეხებოდა.

5.რამდენად კვალიფიციურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანი/ავტორი? ფლობს თუ არა საკითხს, რომელსაც აშუქებს? რამდენად რელევანტური და კრიტიკულია დასმული კითხვები? რამდენად სწორად არის შერჩეული მოწვეული სტუმარი?

ოთხი წამყვანიდან სამი მაინც ყოველდღე ეთერში იყო. ზოგ საკითხებში ისინი ავლენდნენ კვალიფიკაციას და სვამდნენ რელევანტურ კითხვებს, სხვა შემთხვევებში კი საკმაოდ პასიურები იყვნენ.

6.აძლევს თუ არა გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედიაში, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებს?

ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

2. ყოველკვირეული გადაცემები: „ახალი კვირა“, „რეალური სივრცე“, „42-ე პარალელი“, „კვირის ინტერვიუ“ და „აქტუალური თემა“

„ახალი კვირა“

გადაცემა არ არის შეკრული. წამყვანის როლი თემების დასახელებით შემოიფარგლება, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა 11.11-ის გადაცემაში.

გადაცემის დასაწყისში წაკითხული ახალი ამბების ნაწილს შემდეგ სიუჟეტი ეძღვნება, ნაწილს - არა. რა პრინციპით ხდება სიუჟეტის გაკეთება, ცხადი არ არის. სიუჟეტებში თემები ბოლომდე მიყვანილი არ არის, გზავნილი არ იკითხება. მაგ. 11.11 გადაცემა დამთავრდა გახარის სიტყვებით, რომ პოლიცია მისი მითითებებით მოქმედებდა. რას ნიშნავდა ეს, ამაზე უნდა ყოფილიყო კომენტარი.

ძნელია ზოგიერთი სიუჟეტის გასულ კვირასთან კავშირის გაგება. ასე მაგ. 18.11-ის სიუჟეტი საბჭოთა წყობის მიერ დემონსტრაციების ჩახშობის შესახებ. სიუჟეტები ზოგადად გაწელილია, მაგ. ისევ 18.11-ის გადაცემაში სიუჟეტები დედაბრული ანბანის და ფრანგი მზარეულის მოგზაურობის შესახებ.

აშკარად ჩანს „ქართული ოცნების“ მზარდაჭერა. ეს გამოიხატება, როგორც სიუჟეტების მეტ რაოდენობაში, ასევე მთავრობის მოხელეთა კრიტიკის სიმცირეში. თუმცა 2.12-ის გადაცემაში ძირითადად ოპოზიცია იყო წარმოდგენილი და „ქართული ოცნების“ პოზიცია ფაქტობრივად არ იყო გაჟღერებული.

გადაცემაში არ ხდება კრიტიკული თემების საკმარისად აქცენტირება. 9.12-ის გადაცემაში განხილული იყო ძალზე საგანგაშო შემთხვევა ფოკაში ხალხის სამართლის განხორციელების თაობაზე, მის განხილვას დიდი დრო დაეთმო, მაგრამ კრიტიკული საკითხები სახალხო სამართლის განხორციელების

სამართლიანობის შესახებ საერთოდ არ იყო განხილული. იგრძნობოდა მხარდაჭერა თუ არა, გაგება მაინც მოკლულის ოჯახის მიმართ ამ საკითხში.

ზოგადად, გაუგებარია რატომ ჰქვია გადაცემას „ახალი კვირა“, როდესაც ის განვლილ კვირას ეხება. წამყვანის როლი არ არის ჩამოყალიბებული. სიუჟეტები გაწელილია, მესიჯები არ არის გამოკვეთილი, სიუჟეტები თითქოს შუა სიტყვაზე მთავრდება და გაუგებარია, რისი თქმა უნდოდათ ამ სიუჟეტით.

პასუხები კითხვებზე

1.ასახავს თუ არა მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები ხედვებისა და მოსაზრებების, პოლიტიკური იდეოლოგიების მრავალფეროვნებას და რამდენად დაბალანსებულად?

ზოგიერთ გადაცემაში ასახავს, ზოგში კი არა.

2.რამდენად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოპულარიზაციის მხრივ?

ამგვარი მასალა ნაკლებ არის წარმოდგენილი. მხოლოდ ერთ გადაცემაში იყო ვრცელი და ინფორმატიული საუბარი ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებასთან არსებულ მდგომარეობაზე.

3.რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები? დაბალანსებულად აშუქებს თუ არა ძირითად პოლიტიკურ ძალებს?

ინილეთ პასუხი პირველ კითხვაზე.

4.რამდენად აქტუალურია ტოქშოუში შერჩეული დღის მთავარი თემა? ხომ არ ხდება მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მნიშვნელოვანი თემების გამოტოვება?

ძირითადად ასახულია, თუმცა იყო ერთი გადაცემა, რომელშიც საერთოდ არ იყო გაშუქებული არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები.

ზოგი თემის აქტუალობა საეჭვოა.

5.რამდენად კვალიფიციურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანი/ავტორი? ფლობს თუ არა საკითხს, რომელსაც აშუქებს? რამდენად რელევანტური და კრიტიკულია დასმული კითხვები? რამდენად სწორად არის შერჩეული მოწვეული სტუმარი?

წამყვანის კვალიფიკაცია არანაირად არ ჩანს იმ როლის გამო, რომელსაც ის ასრულებს. არ იგრძნობა გადაცემასთან მისი კავშირი.

6.აძლევს თუ არა გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედიაში, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებს?

არ აძლევს.

„42-ე პარალელი“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე კარგად მომზადებული გადაცემაა. მასში განხილული თემები აქტუალურია, სიუჟეტები მაღალ პროფესიულ დონეზეა მომზადებული.

ცოტა შეიძლება საჭირო იყოს წამყვანის გააქტიურება, რომ გადაცემა უფრო შეიკრას. კარგი იქნება, თუ ბოლოს დაემატება კვირის ამბების მიმოხილვა.

კითხვებზე პასუხები

1.ასახავს თუ არა მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები ხედვებისა და მოსაზრებების, პოლიტიკური იდეოლოგიების მრავალფეროვნებას და რამდენად დაბალანსებულად?

ეს კითხვა აქტუალური არ არის ამ გადაცემისთვის.

2.რამდენად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოპულარიზაციის მხრივ?

შეიძლება ითქვას, რომ გადაცემათა ციკლი მთლიანად ამ საკითხს ემსახურება.

3.რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები? დაბალანსებულად აშუქებს თუ არა ძირითად პოლიტიკურ ძალებს?

ეს კითხვა აქტუალური არ არის ამ გადაცემისთვის.

4.რამდენად აქტუალურია ტოქშოუში შერჩეული დღის მთავარი თემა? ხომ არ ხდება მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მნიშვნელოვანი თემების გამოტოვება?

კვირის ძირითადი საერთაშორისო თემები განხილულია.

5.რამდენად კვალიფიციურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანი/ავტორი? ფლობს თუ არა საკითხს, რომელსაც აშუქებს? რამდენად რელევანტური და კრიტიკულია დასმული კითხვები? რამდენად სწორად არის შერჩეული მოწვეული სტუმარი?

კვალიფიცირებულია.

6.აძლევს თუ არა გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედიაში, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებს?

ეს კითხვა აქტუალური არ არის ამ გადაცემისთვის.

„რეალური სივრცე“

ყველა გადაცემის თემა აქტუალურია. ასევე ყველა გადაცემაში ხდება იმ პირების მოწვევა, რომლებიც, როგორც წესი, ძალზე იშვიათად არიან წარმოდგენილი მედიასივრცეში. წამყვანი ყველა გადაცემისთვის კარგად არის მომზადებული. ზოგადად ეს საინტერესო გადაცემაა. თუმცა ცალკეული ხარვეზები შეინიშნება. მაგ. 10.11-ის გადაცემა, რომელიც ეხებოდა შშმ პირების საოჯახო სახლებს, დომინირებული იყო პარლამენტარის მიერ. ის დასმულ კითხვებს ფაქტობრივად ვერ პასუხობდა, მაგრამ სტუდიიდან მას არც წამყვანი და არც გადაცემის მონაწილეები სთხოვდნენ პასუხის დაკონკრეტებას. ერთადერთი გამონაკლისი ანა არღანაშვილი იყო.

იმავე გადაცემაში როგორც წამყვანის, ასევე მაყურებლის მხრიდან ოდნავ პატერნალისტური იყო დამოკიდებულება ახალგაზრდა აქტიური შშმ პირის გამოსვლების მიმართ.

წამყვანი, როგორც წესი, კარგად მართავს გადაცემას, სვამს რელევანტურ კითხვებს, თითქმის ყველა სტუმარს აძლევს აზრის გამოხატვის საშუალებას, აჯამებს გამომსვლელების პოზიციას.

24.12-ის გადაცემის თემა სოციალურ პრობლემებს ეხებოდა. ის კარგად იყო შერჩეული, თუმცა ძალზე ვრცელი იყო და შესაბამისად, ვერ მოხერხდა მისი დაფარვა. ჯობდა მინიმუმ ორ გადაცემაში მომხდარიყო მათი განხილვა. გრძელი იყო კლიპი, რომლითაც დაიწყო გადაცემა. ასევე ძალიან გრძელი იყო, თუმცა საინტერესო ემიგრანტის ჩართვა ლონდონიდან. დადებითი იყო არაერთი მონაწილის მიერ ხაზგასმა ზოგადად მომავლის ხედვაზე, სისტემური მიდგომის აუცილებლობაზე, განვითარებასა და მომავალზე ორიენტაციაზე.

ასევე დადებითად უნდა შეფასდეს გადაცემაში ორივე პოლიტიკური ძალის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების მქონე პირების წარმოჩენა.

1.12-ის გადაცემაში, რომელიც საქართველოს მომავლის ხედვას ეხებოდა და რომლის მონაწილეებიც მხოლოდ ახალგაზრდები იყვნენ, ვფიქრობ, სატელევიზიო ფორმატისთვის მსჯელობები ზედმეტად თეორიული იყო, გადაცემაც თითქოს

ოდნავ გავიდა წამყვანის კონტროლიდან და ძირითადად მემარცხენე იდეოლოგიის ავკარგიანობას დაეთმო. ამ გადაცემაშიც საკუთარი მოსაზრების გაჟღერების შესაძლებლობა მიეცა ემიგრანტს. საბერძნეთში მცხოვრები სტუდენტის მიერ ქვეყანაში არსებულ ძალად დასახლებული იყო ეკლესია. ამ ფაქტორზე, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკაზე, იშვიათია დისკუსია.

8.12-ის გადაცემა კიბოს მართვის შესახებ საინტერესოდ წარიმართა. დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ პაციენტების ხმა გაჟღერებული იყო. ასევე კარგი იყო, რომ სხვა სამედიცინო თემაზე მომზადებული გადაცემებისგან განსხვავებით, ექიმები თითქმის არ იყენებდნენ სამედიცინო ტერმინებს და მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე მეტყველებდნენ. ვფიქრობ, რომ გადაცემის ბოლოს წამოჭრილი საკითხი საზღვარგარეთ სამკურნალოდ საქართველოდან გადინებული თანხების თაობაზე, საერთოდ არ უნდა ყოფილიყო დასმული ან დასმული უნდა ყოფილიყო უფრო ადრე გადაცემაში და კონკრეტულად უნდა შეხებოდა იმ ორ დაავადებას, რაზეც იყო ფოკუსირებული გადაცემა. ამ შემთხვევაში კი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი ჰაერში დარჩა დაკიდებული.

ზოგადად გადაცემაში განხილული საკითხები აქტუალურია, წამყვანი კარგად მართავს დისკუსიას სტუდიაში, ყველას აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას და აჯამებს გამოსვლებს. ასევე გადაცემაში მონაწილეობენ ისინი, ვისაც იშვიათად ეძლევათ მედიაში წარმოჩენის შესაძლებლობა.

პასუხები კითხვებზე

1.ასახავს თუ არა მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები ხედვებისა და მოსაზრებების, პოლიტიკური იდეოლოგიების მრავალფეროვნებას და რამდენად დაბალანსებულად?

ასახავს.

2.რამდენად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოპულარიზაციის მხრივ?

ეს განხილვის საკითხი არ იყო.

3.რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები? დაბალანსებულად აშუქებს თუ არა ძირითად პოლიტიკურ ძალებს?

ობიექტურია.

4.რამდენად აქტუალურია ტოქშოუში შერჩეული დღის მთავარი თემა? ხომ არ ხდება მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მნიშვნელოვანი თემების გამოტოვება?

აქტუალურია.

5.რამდენად კვალიფიციურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანი/ავტორი? ფლობს თუ არა საკითხს, რომელსაც აშუქებს? რამდენად რელევანტური და კრიტიკულია დასმული კითხვები? რამდენად სწორად არის შერჩეული მოწვეული სტუმარი?

კვალიფიციურია.

6.აძლევს თუ არა გამონატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედიაში, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებს?

აძლევს, სხვა გადაცემებთან შედარებით ყველაზე მეტად.

„კვირის ინტერვიუ“

16.11-ის გადაცემა განათლებას და სამართლიანობის აღდგენას ეძღვნებოდა. გვიმრაძესთან ერთად მას კიდევ სამი ანალიტიკოსი უძღვებოდა. გადაცემა დადგმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აუდიტორიას მომზადებული ჰქონდა საშინაო დავალება და წამყვანი მათ აძლევდა მისი ჩაბარების შესაძლებლობას. გადაცემა გრძელი იყო და მოსაწყენი. წამყვანი არ იყო საკმარისად აქტიური, არ მართავდა და არ აჯამებდა გამოსვლებს.

ამდენი წამყვანი სტუდიაში, ვფიქრობ, არ არის გამართლებული.

6.12-ის გადაცემა ეხებოდა ევროსაბჭოს კომიტეტის მიერ ვანო მერაბიშვილის საკითხის განხილვას და უზენაესი სასამართლოს წევრთა და თავმჯდომარის არჩევის ახალ წესებს. აბსნაძეს პასუხობდა თეა წულუკიანი.

ინტერვიუ კარგი და ინფორმატიული იყო, თუმცა ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ შემდგომი შეფასების შინაარსი არ იყო საკმარისად და გასაგებად განხილული. ამასთან დაკავშირებით არ იყო დასმული კრიტიკული კითხვები.

სასამართლოს წევრების არჩევასთან დაკავშირებითაც შეიძლებოდა საუბრის გამწვავება.

ზოგადად, ეს ვერ ჩაითვლება კარგ გადაცემად. გადაცემების სიმცირე და განსხვავებული ფორმატი არ იძლევა განზოგადოებულ შეფასების გაკეთების საშუალებას.

პასუხები კითხვებზე

1. ასახავს თუ არა მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები ხედვებისა და მოსაზრებების, პოლიტიკური იდეოლოგიების მრავალფეროვნებას და რამდენად დაბალანსებულად?

არ იყო დაბალანსებული, მხოლოდ მმართველი პარტიის პოზიციას ასახავდა.

2.რამდენად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოპულარიზაციის მხრივ?

ამ საკითხს მეტ-ნაკლებად ეხებოდა, რამდენადაც ლაპარაკი იყო ზოგადად განათლებაზე და ევროპულ სასამართლოებზე.

3.რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები? დაბალანსებულად აშუქებს თუ არა ძირითად პოლიტიკურ ძალებს?

იხილე პასუხი პირველ კითხვაზე.

4.რამდენად აქტუალურია ტოქშოუში შერჩეული დღის მთავარი თემა? ხომ არ ხდება მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მნიშვნელოვანი თემების გამოტოვება?

მეტნაკლებად აქტუალურია.

5.რამდენად კვალიფიციურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანი/ავტორი? ფლობს თუ არა საკითხს, რომელსაც აშუქებს? რამდენად რელევანტური და კრიტიკულია დასმული კითხვები? რამდენად სწორად არის შერჩეული მოწვეული სტუმარი?

ბოლომდე არ ფლობს საკითხს და შესაბამისად რელევანტური კითხვებიც არ იყო დასმული.

6.აძლევს თუ არა გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედიაში, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებს?

არ არიან წარმოდგენილი.

„აქტუალური თემა“

7.12 გადაცემის თემას არჩევნები წარმოადგენდა, კერძოდ, როგორც წამყვანმა მაკაცინცადემ აღნიშნა, მისი შედეგების შინაარსობრივ შეფასებას, იმას დადგენას, თუ რას ნიშნავდა ეს მმართველი გუნდისთვის და ოპოზიციისთვის.

გადაცემის პირველი სტუმარი იყო გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი გუბაზ სანიკიძე, რომელმაც უარყოფითად შეაფასა „ქართული ოცნების“ მოღვაწეობა. გადაცემის მეორე სტუმარი იყო მმართველი პარტიის წარმომადგენელი, პარლამენტარი ზვიად კვაჭანტირაძე. პარლამენტარის თავშეკავებულად ოპტიმისტური გამარჯვებულის პოზიციიდან შედეგების განხილვას დისკუსია მოჰყვა სტუდიაში. სტუდიის სტუმრები იყვნენ ორივე ოპოზიციური ძალის მხარდამჭერები, სტუდიაში ასევე იყო ერთი სტუმარი, რომელიც არცერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერდა მხარს. მონაწილეებს შორის გაიმართა მწვავე კამათი, პოზიციების მიუღებლობით.

მოწვეული სტუმრების პოლიტიკური აფილაციის მიხედვით, გადაცემა დაბალანსებული იყო და მასში ორი პოლიტიკური ძალის მიმდევრების გარდა, ორივესადმი უარყოფითად განწყობილი სტუმარიც მონაწილეობდა. დისკუსია წარიმართა კონფრონტაციულად, წამყვანი ვერანაირად ვერ მართავდა მას. უმრავლეს შემთხვევაში იგი თავაუღებლად და სხაპასხუპით კითხულობდა კითხვებს. წამყვანის საქციელში გამოსჭვიოდა, რომ მას არ აინტერესებდა დასმულ კითხვებზე პასუხების მოსმენა.

წამყვანის მიერ გადაცემის არაკვალიფიციურად წყვანის გარდა, მთავარ პრობლემას მაინც გადაცემის დაგეგმილი შინაარსი წარმოადგენდა. გაუგებარია, არჩევნების ჩატარების 10 დღის შემდეგ რას ემსახურებოდა დასმული კითხვები. შედეგად კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ორივე მხარის წინასაარჩევნო რიტორიკა, ისევე წარსულზე ორიენტირებული მესიჯები - „მე თუ ცუდი ვარ, შენ ჩემზე უარესი იყავი“. რისი გაგონებაც, რაც არაერთხელ იქნა აღნიშნული, მოსახლეობას მობეზრდა და იყო პირველ ტურში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი.

კითხვებზე პასუხი:

1.ასახავს თუ არა მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები ხედვებისა და მოსაზრებების, პოლიტიკური იდეოლოგიების მრავალფეროვნებას და რამდენად დაბალანსებულად?

დაბალანსებული იყო.

2.რამდენად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პოპულარიზაციის მხრივ?

ამ საკითხს გადაცემა არ შეხება.

3.რამდენად ობიექტური და მიუკერძოებელია მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები? დაბალანსებულად აშუქებს თუ არა ძირითად პოლიტიკურ ძალებს?

ფორმალურად მიუკერძოებელი იყო, თუმცა სახელისუფლო პარტიისადმი სიმპათია ჩანდა.

4.რამდენად აქტუალურია ტოქშოუში შერჩეული დღის მთავარი თემა? ხომ არ ხდება მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში მნიშვნელოვანი თემების გამოტოვება?

არ იყო აქტუალური და ვფიქრობ, საზიანოც კი იყო ისევ წარსულზე კონცენტრაცია.

5.რამდენად კვალიფიციურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანი/ავტორი? ფლობს თუ არა საკითხს, რომელსაც აშუქებს? რამდენად რელევანტური და კრიტიკულია დასმული კითხვები? რამდენად სწორად არის შერჩეული მოწვეული სტუმარი?

წამყვანი არ იყო კვალიფიციური, ვერ ფლობდა ვერც სიტუაციას სტუდიაში და ვერც საკითხს, რომლის შესახებაც შესთავაზა სტუმრებს დისკუსია.

6.აძლევს თუ არა გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედიაში, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებს?

უმცირესობების პოზიცია გამოხატული არ იყო.

3.არხის პოლიტიკური გადაცემების საერთო შეფასება:

არხის პოლიტიკური გადაცემები ქვემოთ განხილულია შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- შინაარსი
- ფორმატი
- ბალანსი და მიუკერძოებლობა
- ევროატლანტიკური ინტეგრაცია
- აქტუალობა
- პროფესიონალიზმი
- გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა

შინაარსი

ბევრი სიუჟეტი, განსაკუთრებით „მოამბეში“ და „ახალ კვირაში“ გასული, გაწელილი და შესაბამისად, ნაკლებ ინფორმატიულია. ამის გამო, გადაცემებს ზოგადად აკლიათ დინამიკა და მოსაბეზრებელი ხდებიან.

გადაცემები ფაქტობრივად საარჩევნო კამპანიების მხრიდან შემოთავაზებული სტრატეგიის მიხედვით იმართებოდა, რისი შედეგიც იყო კიდევ მეტი პოლარიზაცია, წარსულის დაბრუნების შესაძლებლობაზე შიშის დათესვა და გაღრმავება. კამპანიის ეს უარყოფითი მხარეები ხშირად იყო იდენტიფიცირებული და ზოგჯერ უარყოფით კონტექსტში განხილული, მაგრამ არ იყო განსხვავებული მიდგომის მხარდაჭერის მცდელობა. პირველი ტურის შედეგების შემდეგაც, როდესაც ყველაზე მკვეთრად გამოიკვეთა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ, არხზე არ გაკეთებულა მცდელობა სიდრმისეულად განხილულიყო არჩევნებში მონაწილეობის დაბალი ხარისხი. მხოლოდ მეორე ტურის შემდეგ ფრთხილად იქნა წამოწეული ეს საკითხი გადაცემებში - „რეალური სივრცე“ და „არჩევნები 2018“.

გადაცემების ფორმატი

პრობლემას წარმოადგენს ზოგიერთი გადაცემის სტრუქტურა. „მომბეში“ ორი წამყვანის ფუნქციების განაწილება და თხრობის სტილის ცვლა ართულებს გადაცემის აღქმას, იწვევს რა გარკვეულ წყვეტას და გადაწყობის აუცილებლობას. გადაცემაში „არჩევნები 2018“ სამი ან ზოგჯერ ორი ანალიტიკოსის ფუნქცია სტუდიაში გაურკვეველია. პოზიციების ბალანსისთვის შეიძლებოდა წამყვანისა და ორი ანალიტიკოსის სტუდიაში ყოფნა იმ შემთხვევაში, თუ ერთი იქნებოდა მმართველი გუნდის, ხოლო მეორე ოპოზიციის მხარდამჭერი.

საწინააღმდეგო პოლიტიკური ძალების წარმომადგენლების სტუმრებად მოწვევის შემთხვევაში, და ეს მკაფიოდ იყო გამოხატული „არჩევნები 2018“-ის წლის ფორმატში, არ ხდება მათი პირისპირ დასმა, რაც ფაქტობრივად არ იძლევა საკითხის არგუმენტირებულად განხილვის საშუალებას.

ბალანსი და მიუკერძოებლობა

ობიექტურობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ფაქტების მშრალი ჩამოთვლა და საწინააღმდეგო მოსაზრების მქონე ადამიანებისთვის გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა.

გადაცემებში თითქმის ყოველთვის იყვნენ წარმოდგენილი როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, თუმცა ხშირად ისინი რაოდენობრივად არ იყვნენ თანაბრად წარმოდგენილი, ჭარბობდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ბალანსის ამ ფორმალური მხარის დაცვის გარდა, ობიექტურობის მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ბალანსი მოვლენათა ინტერპრეტაციაში, რაც იშვიათად იყო დაცული. არხის სიმჰათიები მმართველი პარტიის მიმართ აშკარა იყო, კითხვები მის წარმომადგენლების მიმართ ნაკლებად კრიტიკული იყო და არ ხდებოდა პასუხებში ჩაღრმავება.

გადაცემებში ყოველთვის არ იყო ზედმიწევნით დაცული თანასწორობის პრინციპი. გადაცემაში „არჩევნები 2018“, ვფიქრობ, დარღვეული იყო გენდერული თანასწორობის პრინციპი. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემის სტუმარს ქალი წარმოადგენდა, მეორე სტუმარიც ქალი იყო. „რეალურ სივრცეში“ კი გადაცემის მონაწილე ახალგაზრდა შშმ პირის მიმართ, როგორც წამყვანისგან, ასევე სტუდიის აუდიტორიის მხრიდან გამომჟღავნდა პოზიტიური, მაგრამ აშკარად პატერნალისტური დამოკიდებულება.

ევროატლანტიკური ინტეგრაცია

გადაცემებში იყო სიუჟეტები ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე ვიწრო გაგებით, იყო სიუჟეტები ნატოსთან მიმართებაში. ვფიქრობ, ამ თემის პოპულარიზაცია გულისხმობს უფრო ფართო გაგებას, კერძოდ, ევროატლანტიკურ სივრცეში შემავალი ქვეყნების პრაქტიკის, იქ არსებული დემოკრატიის, ეკონომიკის, განათლების, სოციალური კეთილდღეობის, პრობლემების და ყველა იმ თემის გაშუქებას, რითიც ეს ქვეყნები ცხოვრობენ. სამწუხაროდ, არხის ეთერში ეს თემები ნაკლებად არის წარმოდგენილი. ახალი ამბების განხილვისას უცხოეთის ახალი ამბების წილი ძალზე მცირეა. ერთადერთი გადაცემა, რომელშიც ეს საკითხებია წარმოდგენილი, „42-ე პარალელია“.

აქტუალობა

გადაცემებში განხილული თემები აქტუალურია. ვფიქრობ, არც ერთი მნიშვნელოვანი თემა არ იყო იგნორირებული, თუმცა ზოგჯერ ხდებოდა ისეთი თემების გაშუქება, რომელთა დაკავშირებაც დღევანდელიობასთან ძნელი იყო. ამის შედეგად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამა თუ იმ სიუჟეტის ერთადერთ ფუნქციას ღროის შევსება წარმოადგენდა.

პროფესიონალიზმი

წამყვანების პროფესიონალიზმი არხის გამოწვევას წარმოადგენს. კვალიფიკაციის სიმცირე, განსაკუთრებით სტუდიაში, სტუმრების მართვის საჭიროების შემთხვევაში ჩანს. გამონაკლისს ზაუტაშვილი წარმოადგენს, რომელიც, როგორც წესი, კარგად მართავს აუდიტორიას, ყველას აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას და სტუდიაში ინარჩუნებს მშვიდობიან გარემოს.

წამყვანის ქმედებები მძიმე საყურებელი იყო გადაცემაში „აქტუალური თემა“. მაკა ცინცაძე საერთოდ ვერ მართავდა სიტუაციას, თავდახრილი, სხაპასხუპით კითხულობდა კითხვებს, არ უსმენდა პასუხებს და არ გამოხატავდა ინტერესს იმის მიმართ, თუ რას პასუხობდა მას რესპონდენტი. „ახალი კვირის“ წამყვანის ძირითად ფუნქციას თემების გამოცხადება წარმოადგენს. ის არაფერს მატებს სიუჟეტებს, არ აკეთებს აქცენტებს, არ აჯამებს მათ. ბოლო გადაცემებში ის უფრო აქტიურ როლს თამაშობდა, თუმცა აქაც არ იგრძნობოდა მისი კავშირი გადაცემასთან. ზოგადად, წამყვანები დეპერსონალიზებული არიან, არ ვიცი, ეს არის არხის სტრატეგია, თუ წამყვანების არჩევანი, მაგრამ ორივე შემთხვევაში არასასურველია.

გამოხატვის შესაძლებლობის მიცემა

გადაცემებში ნაკლებად არიან წარმოდგენილი ის პირები, ვისაც იშვიათად ეძლევა საკუთარი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა.

არჩევნების პირველ ტურში ამომრჩეველთა ნახევარმა პოლიტიკური პარტიებისადმი პროტესტის ნიშნად აირჩია, არ მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. მიუხედავად გულაცრუებული ამომრჩევლის ასეთი დიდი წილისა, მოსახლეობის ეს ნაწილი არ იყო წარმოდგენილი გადაცემებში, გამონაკლისს წარმოადგენდა „რეალური სივრცის“ ერთი გადაცემა და „აქტუალური ინტერვიუ“, რომლის სტუდიის სტუმრებს შორის იყო ერთი გულგატეხილი ამომრჩეველი. უმცირესობაში მყოფი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის პოზიციის გაჟღერების შესაძლებლობის მიხედვით გამოირჩევა „რეალური სივრცე“, რომელშიც საკუთარი აზრების გამოხატვა შეეძლოთ შშმ პირებს, კიბოთი დაავადებულებს და ემიგრანტებს.

3. დასკვნა

ზოგადად, არხის პოლიტიკური გადაცემების ხარისხი ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებულია. თუ ჩვენ მათ განვალაგებთ კონტინიუმზე, რომლის ერთ ბოლოშიც არის ძალზე ცუდი, ხოლო მეორეში ძალზე კარგი, ამ კონტინიუმზე გადაცემებს მე შემდეგნაირად განვალაგებდი: „აქტუალური თემა“, „არჩევნები 2018“, „აქტუალური ინტერვიუ“, „ახალი კვირა“, „მოამბე“, „რეალური სივრცე“, „42-ე პარალელი“.

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ „ქართული ოცნების“ მიერ დაშვებული შეცდომების აღიარებით გამოწვეული იმედები მისი პოზიციის მკვეთრ შეცვლასთან მიმართებაში ჯერაც ბოლომდე არ ჩამქრალა. ამ ახალ რეალობაში ვფიქრობ, არხმა უნდა შეასრულოს მის მიერ განცხადებული ფუნქცია - ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდა, ქვეყნის განვითარების ხედვის ჩამოყალიბება, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა და ცხოვრების

სტილისადმი შემწყნარებლობის გაზრდა. ამის გაკეთება სწორედაც რომ ხალხის წინაშე არხის აღებულ ვალდებულებას წარმოადგენს.

დანართი

გადაცემების დეტალური ანალიზი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური გადაცემების შეფასება

პერიოდი: 10 ნოემბერი-10 დეკემბერი, 2018

შემფასებელი ნანა სუმბაძე

ყოველდღიური გადაცემები: „მომბე“ და „არჩევნები 2018“

„მომბე“

„მომბე“ 10.11

წამყვანი მარიამ ვაშაძე

შინაარსი:

- 1.სარალიძის აქცია. აჩვენეს რა ხდება, ალაპარაკეს ოპოზიციაც-ნომტარია
- 2.მეორე ტურისთვის მზადება „ქართული ოცნებაში“
- 3.„ევროპული საქართველოს“ პარტიის წევრის მიერ პარტიის დატოვება
- 4.პროტესტი საზღვრის პირას
- 5.დოლარის კურსი

6.პარიზში I მსოფლიო ომის დასასრულის აღნიშვნა

7.თურქეთის მიერ ხაშიზის მკვლელობის საქმეზე მასალების გამოქვეყნება

8.წყალდიდობა იორდანიაში

9.სპორტი-ძალოსნობა

10.ისევ რეპორტაჟი რუსთაველის აქციიდან. გამოიყვანეს გიგი უგულავა და არასამთავრობოს წარმომადგენელი

11.საპილოტე პროექტი სკოლაში-ბავშვები ასწავლიან ბავშვებს.

12. ისევ რეპორტაჟი რუსთაველის აქციიდან. წინა რეპორტაჟიდან განსხვავებული არაფერი ახალი არ უთქვამთ, სრულიად ზედმეტი იყო

13.ფარიკაობაში ქართველი სპორტსმენის გამარჯვება. ძალზე მოკლე და არაინფორმატიული სიუჟეტი იყო

14.ისევ რეპორტაჟი რუსთაველის აქციიდან. იმავეს იმეორებენ.

კრიტიკა:

წამყვანი მარაოსავით აფრიალებს წარწერას „მოამბე“, მაშინ როდესაც ეს ეკრანზეც წერია.

აქციის სიუჟეტები ბევრია, ნაკლებ ინფორმაციული და გაწელილი. ამბობენ, რომ აქცია ექვსი არასამთავრობოს მიერ არის ორგანიზებული, მაგრამ არც ერთხელ არ ასახელებენ მათ.

კითხვებზე პასუხები:

1.მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია.

2.საერთაშორისო საკითხებს შეეხნენ.

3.მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია.

4.მთავარი თემა აქტუალურია-აქცია, მაგრამ ზედმეტად არის გაშუქებული, იგივე მეორდება სიუჟეტიდან სიუჟეტამდე -ოთხჯერ განხორციელდა ჩართვა, ორი სრულიად საკმარისი იქნებოდა.

5. მეტ-ნაკლებად კვალიფიცირებულია.

6.უმცირესობები არ იყვნენ წარმოდგენილი.

7.გაწელილია.

გადაცემა „მოამბე“

12.11 წამყვანები - თამთა სანიკიძე და ნიკა მუკბანიანი

შინაარსი:

პირველი ორი სიუჟეტი არჩევნებთან იყო დაკავშირებული-მუქარა ზურაბიშვილსა და მის შვილებზე და შკლიაროვის სტატია არჩევნების შეფასებაზე. წამყვანის მიერ წარმოდგენილი შკლიაროვის სტატიის შინაარსი ოდნავ მიკერძოებულად იყო ინტერპრეტირებული და წარმოდგენილი იყო, როგორც შემდგომი დაპირისპირების პროგნოზის შემცველი, თუმცა შემდეგ წაკითხულ ციტატაში ეს აზრი არ იკვეთებოდა. კომენტარი გააკეთეს „ნაცმოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ ლიდერებმა.

შემდეგი ორი სიუჟეტი პარლამენტს ეხებოდა-დაპირისპირება ბიუროზე ხორავას ქუჩის საგამოძიებო საპარლამენტო დასკვნის შესრულების თაობაზე და შემდეგ საგარეო საქმეთა კომისიაში 2008 წლის ომის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ

ოპოზიციის მიერ წულუკიანისა და ზალკალიანის დაბარების თაობაზე. ორივე მხარის არგუმენტები იყო წარმოდგენილი.

ლავროვის მიერ სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიღება. ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს, ოპოზიციის და ევროკავშირის პოზიცია.

სიუჟეტი ბაბუნაშვილზე - განცხადება, რომ იგი არ არის პოლიციელი. სიუჟეტი ეხებოდა მის ფეისბუქში გაკეთებულ განცხადებას, რამდენად იყო ეს მნიშვნელოვანი, გაუგებარია.

შემდეგი ოთხი სიუჟეტი ისევ არჩევნებთან იყო დაკავშირებული. „ქართული ოცნების“ შეხვედრები დევნილ მოსახლეობასთან; ოპოზიციის შტაბის უფროსების შეკრება; „ძალა ერთობაშიას“ განცხადება, რომ სამართალდამცველები რეგიონებში ზეწოლას ახდენენ ამომრჩეველზე. ამ სიუჟეტზე აჩვენეს ვაშაძე და შემდეგ თალაკვაძის კომენტარი.

მკერდის კიბოს IV სტადიით დაავადებულთა საყოველთაო დაფინანსების დაწყება.

„ჩეკ ინ ჯორჯიას“ მიერ დახარჯული თანხების რენტაბელობის თაობაზე ეკონომიკის მინისტრის გამოსვლა.

კრიტიკა:

შკლიაროვის სტატიის შინაარსი, წარმოდგენილი წამყვანის მიერ, ოდნავ მიკერძოებულად იყო ინტერპრეტირებული და წარმოდგენილი იყო, როგორც შემდგომი დაპირისპირების პროგნოზი, თუმცა შემდეგ წაკითხულ ციტატაში ეს არ იკვეთებოდა.

სიუჟეტი ბაბუნაშვილზე - განცხადება, რომ იგი არ არის პოლიციელი, გაუგებარია რატომ იყო მნიშვნელოვანი.

წამყვანების როლები არათანასწორია. შინაარსს გადმოსცემს და კომენტარს აკეთებს სანიკიძე, ხოლო ახალი ამბების მოკლედ, კომენტარის გარეშე წასაკითხად სიტყვას მუკბანიანს აძლევს.

კითხვებზე პასუხები:

1. ასახავს და მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია.

2. არ შეხება.

3. მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია.

5. მაინცდამაინც არ ჩანს კვალიფიკაცია, განსაკუთრებით მუკბანიანს არ ეძლევა რაიმეს გამოხატვის შესაძლებლობა.

6. არ იყვნენ წარმოდგენილი.

გადაცემა „მოამბე“

20.11.2018

შინაარსი:

სიუჟეტები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

1. საქართველოს სამთავრობო დელეგაციის გამგზავრება ბრიუსელში

2. სააკაშვილის მიერ სიძულვილის ენის გამოყენება, ანტისემიტური და ქსენოფობიური განცხადებები, ბიზნესზე ზეწოლის განხორციელების მზაობა ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში

3. სესხების განულების საკითხი

4. არასამთავრობის მიერ გაჟღერებული ეჭვი პირადობის მოწმობების ფაბრიკაციების შესახებ

5. პროტესტის ტალღა საფრანგეთში საწვავის ფასის გაძვირების გამო

6. ბავშვთა მსოფლიო დღის აღნიშვნა საქართველოში

7. სპორტის ამბები

8. კულტურის სიახლეები

9. ახალი ამბების მოკლედ წარმოდგენა ზვისტანის მიერ ორჯერ

კრიტიკა:

სიუჟეტები ცოტა გაჭიმულია. სიუჟეტები წამყვანით და ჩაჭრები მოკლედ ახალი ამბებით, რომლებსაც ზვისტანი კითხულობს, ართულებს შინაარსის აღქმას, მოკლე ამბები ფაქტობრივად ამოვარდნილია თხრობის ტემპისა და სტილისგან.

კითხვებზე პასუხები:

1. მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია მმართველი პარტიის და ოპოზიციის თვალთახედვა.

2. ინტეგრაციასთან დაკავშირებით იყო ერთი სიუჟეტი, რომელიც საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ევროკომისიასა და ევროსაბჭოსთან შეხვედრას ეხებოდა.

3. მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო.

4. დღის აქტუალური თემები განხილული იყო.

გადაცემა „მოამბე“

29.11.2018

შინაარსი:

1. არჩევნების შედეგები
2. პრეზიდენტის უფლებამოსილებები
3. ექსპერტების მიერ არჩევნების შეფასება
4. საერთაშორისო გამოხმაურება არჩევნებზე
5. ოპოზიციის შეხვედრა ფილარმონიაში
6. არჩევნებზე მოსყიდვის სავარაუდო შემთხვევები
7. საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნები
8. ბლოკი ახალი ამბებით
9. სპორტი
10. იუნესკოს მიერ ქართული ჭიდაობის არამატერიალური კულტურის ძეგლად აღიარება

კრიტიკა:

„მოამბე“ თითქმის მთლიანად არჩევნებს ეთმობოდა. არჩევნები განხილული იყო დაბალანსებულად, როგორც „ქართული ოცნების“, ასევე ოპოზიციის პოზიცია იყო წარმოდგენილი. კარგი იყო სიუჟეტი პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ.

კითხვებზე პასუხები:

1. დაბალანსებული იყო
3. პოლიტიკური ძალების შეხედულებები თანაბრად იყო ასახული
4. აქტუალური თემა იყო შერჩეული
5. წამყვანი კვალიფიციური იყო

გადაცემა „მომბე“

4.12.2018

შინაარსი:

გადაცემა არჩევნების თემით იწყებოდა. განხილული იყო შემდეგი საკითხები:

1. პრეზიდენტის საჭიროებებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის მკვეთრი შემცირება, ადმინისტრაციის განახევრება და საპრეზიდენტო ფონდის გაუქმება
2. ოპოზიციის მიერ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა
3. სპეცოპერაციის შედეგად ექვსი უკრაინელის დაკავება
4. მართლმსაჯულების ოფიცრების პროგრამის დაწყება თბილისში
5. ნატოს სხდომა საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში
6. მერაბიშვილის დაპატიმრების კანონიერად ცნობა
7. ფსიქოტროპული წამლების უკანონო რეალიზაციისთვის ჯანდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი პირის დაკავება
8. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკრედიტო-საგარანტიო ინსტრუმენტის შექმნა

9.საფრანგეთში საწვავზე ფასების გაზრდის გადავადება

10.სპორტი

11.კულტურა

ახალი ამბების ორი მოკლე ბლოკი

კრიტიკა:

სიუჟეტები გაწელილია, ამ შემთხვევაში ეს განსაკუთრებით მართლმსაჯულების ოფიცრების ქუჩაში გამოჩენას ეხებოდა. ცოტაა უცხოეთის ამბები. გაწელილი სიუჟეტების შემდეგ სწრაფად წაკითხული ახალი ამბები ძნელი აღსაქმელია.

კითხვებზე პასუხი:

1.მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო.

2.ევროატლანტიკურ გაერთიანებაზე იყო ერთი სიუჟეტი, მაგრამ ზოგადად უცხოეთის ამბების მწირად გაშუქება ინტეგრაციის არ უწყობს ხელს.

3.ობიექტურია.

4.თემები აქტუალური იყო.

5.ძნელია ამ ფორმატის წამყვანების კვალიფიკაციაზე საუბარი.

6.არ იყვნენ წარმოდგენილი უმცირესობების წარმომადგენლები.

გადაცემა „არჩევნები 2018“

13.11.2018

შინაარსი:

გადაცემა მიჰყავს აბსნაძეს და კიდევ სამ წამყვანს. სტუმარია ვაშაძე.

მიმოიხილეს წინასაარჩევნო სიტუაცია მოკლედ, შკლიაროვის ბლოგი განიხილეს, თუმცა ერთ-ერთმა წამყვანმა აღნიშნა, რომ ეს არ იყო მნიშვნელოვანი.

ძალიან დიდი დრო მოანდომეს ჯანმრთელობას, ეს საკითხი შემთხვევით აღმოცენდა. შემდეგ წამოწიეს სამხედროების თემა. ვაშაძე ამბობს, რომ სამხედროები ყველა ქვეყანაში არიან ჩართული პოლიტიკაში.

მეორე ნაწილში მოწვეულია ზურაბ ჯაფარიძე.

კრიტიკა:

ყველა ანალიტიკოსი ოპოზიციის წინააღმდეგია, ვაშაძემ აჯობა, აბსნაძე ვერ ფლობს სიტუაციას.

რამდენად აქტუალური იყო ჯაფარიძის მოწვევა არჩევნებთან დაკავშირებით, გაუგებარია. გაიმართა ფაქტობრივად საუბარი ეკონომიკაზე.

კითხვებზე პასუხები:

1.არ იყო დაბალანსებული, რამდენადაც ოპოზიციის კანდიდატის წარმომადგენელი კი იყო მოწვეული, მაგრამ მასზე ფაქტობრივად მომდინარეობდა თავდასხმა, არც თუ ისე წარმატებული ოთხი წამყვანის მიერ.

2.ეს საკითხი ხაზგასმული არ იყო.

3.სტუმრების მხრივ არ იყო დაბალანსებული, რადგან მართო ოპოზიცია იყო წარმოდგენილი, არ იყო დაბალანსებული ანალიტიკოსების მხრივ, რადგან მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ.

4.პირველი თემა - არჩევნები აქტუალური იყო, მეორე თემა და სტუმარი ნაკლებად.

5. მომზადება აკლდათ წამყვანებს.

გადაცემა „არჩევნები 2018“

15.11.2018

შინაარსი:

გადაცემას ჰყავდა წამყვანი აბსნაძე და სამი ანალიტიკოსი.

განხილულ იქნა „ქართული ოცნების“ ახალი საარჩევნო სტრატეგია, რაც დაკავშირებული იყო პარტიის ლიდერების პორტრეტებით ბანერების განთავსებასთან. ერთ-ერთი წამყვანის მიერ ამგვარი სტრატეგიის შესაძლო შედეგები კრიტიკულად იყო შეფასებული.

აბსნაძემ მოკლედ აღწერა არჩევნების დღის მთავარი საკითხი - ზურაბიშვილის წიგნიდან ჰააგის სასამართლოში აგვისტოს ომის თაობაზე ციტატის რუსეთის მიერ არგუმენტად გამოყენება. შემდეგ აჩვენეს ნაწყვეტი ამის თაობაზე წულუკიანის ინტერვიუდან. ინტერვიუს ამონარიდი გაუგებარი იყო. სტუდიაში მოწვეული იყო იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, რათა განმარტებები გაეკეთებინა საერთაშორისო სასამართლოების ფუნქციებსა და პროცედურებზე. სტუმარი კარგად პასუხობდა კითხვებს და იძლეოდა ადეკვატურ განმარტებებს, მაგრამ სამი საერთაშორისო სასამართლოსა და ოპოზიციის მიერ წამოყენებულ ბრალდებაზე პასუხისას მაინც ვფიქრობ, მოხდა ამ სასამართლოების აღრევა და საკითხზე გამოკვეთილი პასუხი არ იქნა მიღებული.

მეორე სტუმარი იყო სოფლის მეურნეობის და ეკოლოგიის მინისტრი, რომელიც საუბრობდა იმაზე, თუ რას უნდა ელოდეს ამომრჩეველი 2019 წელს. ის კარგად საუბრობდა და იძლეოდა ადეკვატურ პასუხებს, ოღონდ ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ წამყვანებმა არ იცოდნენ, რა კითხვა დაესვათ და მას მმართველი გუნდის რეკლამირების საშუალებას აძლევდნენ. გადაცემის შინაარსიდან გამომდინარე, ინტერვიუ იყო გრძელი.

კრიტიკა:

გაურკვეველია, რა ფუნქციას ასრულებს სამი დამატებითი წამყვანი სტუდიაში. ისინი საკითხთან დაკავშირებით მომზადებული არ არიან, არ აკრიტიკებენ და არანაირ ოპონირებას არ უწევენ სტუმრებს. თუ ეს ფორმატი უნდოდათ, უნდა მოეწვიათ ერთი მმართველი პარტიის და ერთი ოპოზიციის ანალიტიკოსი. ფაქტობრივად რბილი კრიტიკის ერთეული შემთხვევების გარდა, მთელი სტუდია „ქართული ოცნების“ პოზიციას ამაგრებს. შესაბამისად, ამ გადაცემას დაბალანსირებულს ვერ დავარქმევთ, მაშინ როდესაც სწორედ მას სჭირდება მხარეთა თანაბრად წარდგინება.

კითხვებზე პასუხები:

1. არ იყო დაბალანსებული.

2. ლაპარაკი იყო საერთაშორისო სასამართლოზე და კანონების ჰარმონიზაციაზე ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამდენად, ეს გადაცემა გარკვეულწილად ფოკუსირებული იყო ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე.

3. ამ გადაცემას მიუკერძოებელს ვერ დავარქმევ, ის აშკარად „ქართული ოცნების“ პოლიტიკის პროპაგანდას ემსახურება.

4. პირველი თემა აქტუალური იყო, ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული დღის წესრიგის მიხედვით, მეორე - დღევანდელ დღესთან მიმართებაში არა, თუმცა ზოგადად აქტუალური იყო.

5. საკითხებს წამყვანები ნაკლებად ფლობდნენ, მოწვეული სტუმრები კარგად ფლობდნენ.

გადაცემა „არჩევნები 2018“

20.11.2018

შინაარსი:

წამყვანი გვიმრადე და სამი ანალიტიკოსი. გადაცემის პირველ ბლოკში განხილული იყო ყალბი პირადობის დაბეჭდვის საკითხი. საკითხი გაშუქებული იყო ფართო კონტექსტში. ფოკუსში იყო არჩევნებზე დამკვირვებელი სუბიექტების მიერ ამგვარი ეჭვის ზეგავლენა ზოგადად არჩევნების ლეგიტიმაციის პროცესზე და სწორედ ამ მხრივ იყო დანახული ამ ფაქტის საშიშროება. დისკუსია კარგად წარიმართა.

მეორე ბლოკში მოწვეული იყვნენ თამარ ჩერგოლეიშვილი და ხათუნა ხოფერია.

კრიტიკა:

აჯობებდა სტუმრები ყოფილიყვნენ ერთად სტუდიაში და მათ შორის დისკუსია გამართულიყო.

არჩევნების სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების გაშუქებისას წამყვანები ცდილობდნენ ყოფილიყვნენ ობიექტური, თუმცა მათი პოლიტიკური პრეფერენცია მაინც გამოკვეთილი იყო.

კითხვებზე პასუხები:

1+3. დაბალასირებული იყო სტუმრების მიხედვით, მაგრამ არა წამყვანების პოზიციით.

4. თემა აქტუალური იყო.

5. წამყვანები კვალიფიცირებული არიან.

გადაცემა „არჩევნები 2018“

22.11.2018

შინაარსი:

გადაცემა მიჰყავდა გიორგი გვიმრაძეს და სამ ანალიტიკოსს.

გადაცემის პირველ ნაწილში კომენტარი გაკეთდა ვაშაძის მიერ წაყენებულ ბრალდებაზე, რომ მისი სიტყვები კიბოთი დაავადებულთა მკურნალობასთან დაკავშირებით დამახინჯებული იყო ტელევიზიის მიერ. ნაჩვენები იყო მისი გამოსვლის ნაწილი და ვებ-გვერდი, რომელზეც ინტერვიუ იყო განთავსებული და ახსნილი იყო, რომ ვაშაძის პროტესტი გამოწვეული იყო ვებ-გვერდზე მისი გამოსვლის ქვესათაურის გამო. განხილულ იქნა საკითხი იმის თაობაზე, რამდენად ადეკვატურად ასახავდა სათაური გამოსვლის შინაარსს.

შემდეგ ძირითადად წამყვანის მიერ გაკეთდა ძალზე გრძელი კომენტარები და შეფასებები წინა დღეს ტელევიზიის დირექტორის (დასახელების გარეშე) გამოსვლის ზოგად პათოსზე. მთელი ეს სიუჟეტი იყო სრულიად გაუგებარი, არ იყო ნაჩვენები ან ახსნილი, თუ რაზე იყო საუბარი, იყო მოცემული მხოლოდ გამოსვლის შეფასება. ამდენად, რაიმე დასკვნის გაკეთება მაყურებლისთვის იყო შეუძლებელი.

გადაცემის ძირითადი დრო დაეთმო ინტერვიუს თეა წულუკიანთან.

კრიტიკა:

გადაცემის ნაწილი, რომელიც ენებოდა ტელევიზიის დირექტორის წინა დღის გამოსვლას, იყო სრულიად გაუგებარი და ძალზე გრძელი. მინისტრთან ინტერვიუს ტრადიციულად აკლდა სიმწვავე და ოპონირება. ყველა ანალოგიურ შემთხვევაში მინისტრებს უბრალოდ ეძლევათ საკუთარი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა. ეს თავისთავად შეიძლება იყოს კარგი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამისთვის უნდა ყოფილიყო ფორმატი მაგ. “მინისტრის ხედვა” და მიეცათ ყველა მინისტრისთვის ერთი და იგივე დრო და ჩარჩო.

წამყვანმა გადაცემის შუაში აღნიშნა, რომ გადაცემის სტუმრები იქნებოდნენ გედენიძეები და გადაცემის ძირითად თემად დასახელებული იყო

სამართლიანობის აღდგენა. გედენიძეები გადაცემაში არ გამოჩენილან და არც არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა ასე.

კითხვებზე პასუხები:

1.არ ასახავს.

2.ამ საკითხზე არავითარი მინიშნება არ გაკეთებულა.

3.არავითარი ბალანსი არ იყო.

4.თემა - სამართლიანობის აღდგენა აქტუალური იყო, მაგრამ მასზე მაინცდამაინც ბევრი არაფერი თქმულა.

5.მთავარ თემასთან მიმართებაში სტუმარი სწორად იყო შერჩეული, წამყვანები მეტ-ნაკლებად მომზადებული იყვნენ.

გადაცემა „არჩევნები 2018“

29.11.2018

შინაარსი:

გადაცემის დასაწყისში წამყვანი და მისი ჯგუფი საუბრობდნენ არჩევნების შესახებ შედეგებზე. განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, როგორ აისახებოდა ოპოზიციის მიერ არჩევნების შედეგების არმიღება მათ შემდგომ ქმედებებზე. განხილულ იყო საერთაშორისო დამკვირვებლების მოსაზრებები. გაანალიზებული იყო ოპოზიციის მესიჯი არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, კერძოდ კი პოლიტიკური სუბიექტების ერთიანობის წარმოჩენა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ.

გადაცემაში ჰყავდა ორი სტუმარი - ეკა ბესელია და ირმა ინაშვილი, ტრადიციულად ცალ-ცალკე.

ეკა ბესელიასთან ინტერვიუში იყო მცდელობა, პასუხი გასცემოდა „ქართული ოცნების“ მიერ მომავლის, კერძოდ კი მომავალი წლის ხედვას და იმას, თუ რის მიღწევას აპირებდნენ ამ ერთ წელიწადში. ამ კითხვაზე წამყვანების მცდელობის მიუხედავად, პასუხი არ იქნა მიღებული და ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ბესელიამ პასუხი არ იცოდა და ცდილობდა ტრადიციულად „ნაცმოძრაობის“ კრიტიკით შემოსაზღვრულიყო. მისი გამოსვლა სრულიად იჯდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რიტორიკაში. შესაბამისად, მისი მესიჯი ნებისით თუ უნებლიეთ „ქართული ოცნების“ პოლიტიკის უცვლელობაზე მიუთითებდა და საკუთარი ქმედებების „ნაცმოძრაობის“ ქმედებების შედარებაზე იყო ორიენტირებული. წამყვანები არ იყვნენ საკმაოდ კრიტიკული ბესელიას პასუხებზე კომენტარების გაკეთებისას.

ირმა ინაშვილმა ძირითადი დრო დაუთმო საკუთარი პარტიის რეკლამას. წამყვანები მის მიმართ ბევრად უფრო კრიტიკული იყვნენ, ვიდრე ბესელიასთან მიმართებაში. სილქნეტზე დაახლოებით 10 წუთი გადაცემა არ მიდიოდა. გრძელი დისკუსია ეხებოდა არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ სასარგებლო ხმების რაოდენობის და პროცენტული რაოდენობის უცვლელობას.

კრიტიკა:

თუ მიზანს წარმოადგენდა „ქართული ოცნების“ უახლოესი მიზნების და ერთ წელიწადში დაპირებული სასწაულის მექანიზმის გაგება, ეკა ბესელიას მოწვევა არ იყო გამართლებული. პარტიის ლიდერი ან პრემიერ-მინისტრი უნდა მოეწვიათ. ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო ბოლო პერიოდში, როდესაც ერთი პოლიტიკური ძალის მოწვეული ქალის საპირისპიროდ საპირისპირო ძალის ასევე ქალ რესპონდენტს იწვევენ. ამას გარკვეული დისკრიმინაციული ელფერი აქვს.

დისკუსია „ნაცმოძრაობის“ პროცენტების უცვლელობის შესახებ უფრო კონსტრუქციულ ჩარევას მოითხოვდა.

ზოგადად წამყვანები ნაკლებად კრიტიკულად აფასებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების პასუხებს ოპოზიციის წარმომადგენლებთან შედარებით.

ამ გადაცემათა ციკლში წამყვანები, როგორც წესი, გამოთქვამენ კრიტიკულ მოსაზრებას, მაგრამ არ უღრმავდებიან საკითხს, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირებთან საუბრისას, რაც გადაცემას მდორე ხასიათს ანიჭებს. ეს ყოველდღიური გადაცემა ზოგადად დროში გაწელილია.

კითხვებზე პასუხები:

1. დათმობილი დროის მიხედვით დაბალანსებული იყო, თუმცა ოპოზიციური კანდიდატის ჯგუფის წარმომადგენლები არ იყვნენ სტუდიაში მათი უარის გამო, რამაც, როგორც ჩანს, გამოიწვია „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის მოწვევა.

3. მეტ-ნაკლებად მიუკერძოებელი იყო.

4. თემა აქტუალური იყო.

5. მოწვეული სტუმრები არ წარმოადგენდნენ არჩევნების შედეგების კონტექსტისთვის საუკეთესო რესპონდენტებს. წამყვანები კვალიფიცირებული იყვნენ და ფლობდნენ საკითხს.

გადაცემა „არჩევნები 2018“

2.12.2018

შინაარსი:

გადაცემის ძირითადი თემა ისევ არჩევნები იყო. თავდაპირველად წამყვანისა და ორი ანალიტიკოსის ფორმატში დისკუსია ეხებოდა არჩევნების გაკვეთილებს მთავრობისათვის. დისკუსიის დასრულებამდე ეთერში შემოიყვანეს სტუმარი - ანა დოლიძე და სცადეს დისკუსიის გაგრძელება იმავე თემაზე. დისკუსიის ინტერვიუზე გადაბმა არ იყო ბუნებრივი. სტუმარმა ძირითადად „ქართული ოცნების“ მმართველობის შეცდომებზე ისაუბრა. მისი ხედვა არ იყო ინტერესმოკლებული, მაგრამ არჩევნების შემდგომ ყველა გადაცემაში ამის

ანალიზი კეთდებოდა და ეს ანალიზი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. სტუმარი მოემზადა ვრცლად გაეცა პასუხი ქალ-პრეზიდენტის სპეციფიკაზე, მაგრამ წამყვანებმა ამის შესაძლებლობა არ მისცეს. არადა ამ საკითხის დეტალური და სიღრმისეული განხილვა გახდებოდა ის, რაც არ იყო სხვა გადაცემებში განხილული.

წარმოდგენილი იყო ჩაწერილი ინტერვიუ ჰააგის სასამართლოს წარმომადგენელთან. ინტერვიუში დეტალურად იყო განხილული ამ სასამართლოს მანდატი და პროცედურები. ასევე მოლოდინები იმის თაობაზე, რა ტიპის და ვის მიმართ არის შესაძლებელი განაჩენის გამოტანა. ინტერვიუ საინტერესო და ამომწურავი იყო.

კრიტიკა:

კითხვებზე პასუხი:

1. მრავალფეროვნება ამ გადაცემაში არ იყო ასახული.
2. პოპულარიზაციას არ ეთმობოდა.
3. ობიექტური იყო.
4. თემა აქტუალური იყო, თუმცა გადაცემის აქტუალობა არჩევნებიდან ერთი კვირის გავლის შემდეგაც გაუგებარია.
5. წამყვანის მიერ აღებული ინტერვიუ კვალიფიციური იყო. რესპონდენტი კარგად იყო შერჩეული.

ყოველკვირეული გადაცემები: „ახალი კვირა“, „42-ე პარალელი“, „რეალური სივრცე“, „აქტუალური ინტერვიუ“, „აქტუალური თემა“

„ახალი კვირა“

11.11.2018

შინაარსი:

1. პირველი სიუჟეტი ეხებოდა სარალიძის საპროტესტო აქციას. წარმოდგენილი იყო მომიტინგეთა პოზიცია, ასევე იყო განცხადება სიუჟეტის ავტორის მხრიდან, რომ კარვების გაშლა კანონით ნებადართულია და ადამიანის მანიფესტაციის უფლების ნაწილს წარმოადგენს. ნაჩვენები იყო პოლიციის ქმედება და ბოლოს სიუჟეტი დამთავრდა სიუჟეტის ავტორის ტექსტით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, პოლიციელები მისი მითითებებით მოქმედებდნენ.

2. შემდეგ სიუჟეტში, რომელიც 7 ნოემბერს ეხებოდა, ისაუბრეს დაზარალებულებმა, ასევე აჩვენეს მომხდარის გამო „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა ბოდიშის შემცველი განცხადებები.

3. ნაჩვენები იქნა საპროტესტო აქცია ოკუპაციის ხაზთან.

4. სიუჟეტი ომის ვეტერანებზე, თითქოს იმაზე, რომ მთავრობა მათ არ უწევთ საკმარის დახმარებას.

5. სიუჟეტი ძველ უბნებში სახლების - ისტორიული მონუმენტების ავარიულ მდგომარეობაზე. აჩვენეს ინტერვიუები მოსახლეობასთან, ასევე აღდგენის პროექტის ხელმძღვანელთან.

6. სიმსივნური დაავადებების მკურნალობის ახალი საშუალებების შესახებ სიუჟეტი არ იყო ბოლომდე გასაგები-აჩვენეს განკურნებულები და შემდეგ ექიმი, რომელიც ამბობს, რომ მეთოდი ყველას არ შველის და კიდევ დასახვეწია.

7. დავით გარეჯის რესტავრაციის მომავალზე სიუჟეტი მეტ-ნაკლებად ინფორმაციული იყო.

8. დედაბრული ანბანი-საინტერესო სიუჟეტი, ოღონდ გაწელილი.

9. დომინიკის რესპუბლიკის შესახებ სიუჟეტი საინტერესო იყო.

კრიტიკა:

გადაცემის დასაწყისში აჩვენეს სპორტსმენები და რაგბი, მაგრამ შემდეგ ისინი არ უხსენებიათ. ბოლოს გაუშვეს რაღაც სიუჟეტი თუ კლიპი რაგბიზე, გაურკვეველი შინაარსის.

ასევე დასაწყისში წამყვანმა კომენტარი გააკეთა გამყოფ ხაზთან ჯაფარიძის აქციის პროტესტის ფორმის მიუღებლობაზე, მაგრამ სიუჟეტში არაფერი უთქვამთ მიუღებლობის შესახებ. არავითარი ხსენება შიდა პოლიტიკური პროცესებისა ან საარჩევნო საკითხებისა არ ყოფილა, გარდა რუსთაველზე აქციისა.

ძირითადი პრობლემა ის არის, რომ წამყვანი გვევლინება კონფერანსიეს როლში. ეს არ არის მისი გადაცემა, ის მხოლოდ აცხადებს შემდეგი სიუჟეტის თემას, არსად აჯამებს სიუჟეტს და არ გამოხატავს აზრს. გადაცემას აშკარად აკლია პერსონალიზაცია.

კითხვებზე პასუხები:

- 1.მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია.
- 2.ეს საკითხი არ განხილულა.
- 3.მეტ-ნაკლებად დაბალანსირებულად.
- 4.გამოტოვებულია არჩევნები და შიდა პოლიტიკური მოვლენები.
- 5.წამყვანის კვალიფიკაციაზე ვერ ვიმსჯელებთ, რადგან არაფერს ამჟღავნებს.
- 6.უმცირესობები თითქოს ომის ვეტერანებით არიან წარმოდგენილი.

გადაცემა „ახალი კვირა“

18.11.2018

შინაარსი:

დასახელებული თემები:

ჯარისკაცების გამოყენება საარჩევნო მიზნებით

პროტესტი გამყოფ ზოლთან

აფეთქება ფონიჭალაში

სიუჟეტები:

გორის პარკში 14 წლის ბავშვის ცხედარის ძიება

არჩევნების II ტური. არჩევნების სამუშაო დღეს დანიშვნის პრობლემა. ბანერები „ქართული ოცნების“ ლიდერებით. მუქარა ზურაბიშვილის ოჯახს.

სამართლიანობის აღდგენის წარუმატებლობა. სტამბოლის ბაზრობის საქმე.

სამართალდამცველების ფუნქციები ახალი კონსტიტუციით.

ლუსტრაციის კანონი - სუკის არქივი

სისხლით ჩახშული დემონსტრაციები

I მსოფლიო ომის დასასრულის 100 წელი

ფრანგი კულინარი საქართველოში

გიდი უშგულიდან

კრიტიკა:

გაუგებარი იყო საბჭოთა კავშირის მიერ დემონსტრაციების ჩახშობის თემის აქტუალობა. ყველაზე კარგი იყო სიუჟეტი I მსოფლიო ომზე.

კითხვებზე პასუხები:

1.მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო, უფრო სწორად ბევრი არაფერი იყო დასაბალანსებული.

2.ევროატლანტიკური ინტეგრაციის მინიშნებად შეიძლება ჩაითვალოს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების საკითხი, ამ ომში საქართველოს როლი და ომის შედეგი საქართველოსთვის.

3.ნაკლებად იყო პოლიტიკური ძალები წარმოდგენილი.

4.მთავარი თემა გამოკვეთილი არ იყო.

5.წამყვანი ფაქტობრივად არაფერს ამბობს, შინაარსი სიუჟეტებშია.

გადაცემა „ახალი კვირა“

25.11.2018

შინაარსი:

ინფორმაცია იყო:

1.ევროვიზია

2.მაჩალიკაშვილის მიტინგი

სიუჟეტები:

1.მიტინგი თავისუფლების მოედანზე

2.სააკაშვილი საკუთრების წართმევის თაობაზე

3.ჩამორთმეული ქონება

4.სიძულვილის ენა საარჩევნო კამპანიაში

5.ჭარბვალთანობა

6.ყალბი პირადობების დამზადება

7.ფოკას მონასტერი

8.ინტერვიუ მარგველაშვილთან

კრიტიკა:

გადაცემა ძირითადად „ქართული ოცნების“ მხარდაჭერაზე იყო მიმართული. „ქართული ოცნებისადმი“ ოდნავ კრიტიკული მხოლოდ ორი სიუჟეტი იყო - სიძულვილის ენაზე და ინტერვიუ მარგველაშვილთან, თუმცა ეს უფრო მონოლოგი იყო, ვიდრე ინტერვიუ.

წამყვანი წინა კვირის გადაცემასთან შედარებით ოდნავ უფრო აქტიური იყო, მაგრამ მაინც კონფერანსიეს როლში გამოდიოდა.

კითხვებზე პასუხები:

1.არ იყო დაბალანსებული.

2.ამ საკითხებს არ შეხებია.

3.არ იყო დაბალანსებული.

4.თემები აქტუალური იყო.

5.წამყვანების კვალიფიკაცია საერთოდ არ ჩანდა.

გადაცემა „ახალი კვირა“

2.12.2108

შინაარსი:

გადაცემა ძირითადად არჩევნებს ეხებოდა, კერძოდ წარმოდგენილი იყო შემდეგი სიუჟეტები:

1.საპროტესტო აქცია რუსთაველზე. სიუჟეტში წარმოდგენილი იყო ოპოზიციის პოზიცია არჩევნების შედეგებთან მიმართებაში, მისი მიმდევრების შეკრება ფილარმონიაში და საპროტესტო აქცია რუსთაველზე

2.საკაშვილის მიერ დაუმორჩილებლობის მოთხოვნის საკითხი და მასზე ოპოზიციის რეაქცია

3.საქართველოში არსებული პოლიტიკის შეფასება სტუდენტების თვალთახედვიდან

4.ქალი-პრეზიდენტები. სიუჟეტი ეხებოდა მსოფლიოში მოქმედ ქალ პრეზიდენტებს და მათ წინამორბედებს

5.ქერჩის კრიზისი

6.აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების პრობლემები

7.ამერიკული ოჯახი სამეგრელოში

8.98 წლის ქართველი მფრინავი

კრიტიკა:

წინა გადაცემებთან შედარებით წამყვანი უფრო აქტიური იყო და მიმართავდა თხრობას. სიუჟეტი ახალგაზრდების დამოკიდებულების შესახებ სუსტი იყო,

ფაქტობრივად წარმოდგენილი იყო ერთი, როგორც ჩანს, პოლიტიკური ჯგუფი, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი მათ პოზიციაზე ან პარტიის შექმნის მიზანზე. აუტისტ ბავშვებზე სიუჟეტს აკლდა ფოკუსი და მკვეთრი მესიჯი. ქალ პრეზიდენტებზე სიუჟეტი კარგად იყო მომზადებული. მთლიანად ამ გადაცემას აკლია მესიჯი, ინფორმაციაც ფრაგმენტულია.

კითხვებზე პასუხი:

1. მაინცდამაინც მრავალფეროვანი არ იყო. „ქართული ოცნება“ საერთოდ არ იყო წარმოდგენილი, მხოლოდ ერთხელ იყო ნახსენები პარლამენტის თავმჯდომარის რეაქცია დაუმორჩილებლობის მოწოდებაზე.

2. ეს საკითხი არ ყოფილა განხილული, გარდა ქერჩის ინციდენტისა.

3. გადაცემა ობიექტური იყო.

4. თემები აქტუალური იყო.

5. წამყვანის კვალიფიკაცია, როგორც ასეთი, არ ჩანს. სიუჟეტის ავტორების პროფესიონალიზმიც სასურველია იყოს უფრო მაღალი.

6. უმცირესობების წარმომადგენლები არ ფიგურირებდნენ გადაცემაში.

გადაცემა „ახალი კვირა“

9.12.2108

შინაარსი:

ახალი ამბების მოკლე მიმოხილვის შემდეგ გადაცემის სიუჟეტები შემდეგ საკითხებს დაეთმო:

1. ფოკაში მომხდარ მკვლელობას და ხალხის სამართლის აღსრულება. სიუჟეტი განსაკუთრებულად საგანგაშო საკითხს ეხებოდა, ხალხის სამართლის საკითხთან მიმართებაში, მაგრამ სამწუხაროდ, სიუჟეტში ეს საკითხი არა მარტო არ იყო

სიღრმისეულად გაანალიზებული, არამედ გრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გარკვეული სიმპათია არსებობდა მოკლულის ოჯახის მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ. ერთადერთი მკვეთრი შეფასება ეხებოდა სამართალდამცველების მოქმედებას.

2. საარჩევნო პროცესის შეფასება ილია მეორის მიერ და საინაუგურაციო ცერემონიის დაგეგმვა. ნაჩვენები იყო ინაუგურაციის ადგილი და თელავის მცხოვრებნი გამოკითხეს თელავის შერჩევის თაობაზე. ბევრი იყო გამოკითხული და ფაქტობრივად ცოტა იყო განსხვავებული პასუხები, ამან გაწელა ეს სიუჟეტი.

3. საპროტესტო აქციები საფრანგეთში და მისი შეფასება მოსახლეობის მიერ. ბევრი იყო შეფასება და ცოტა იყო საუბარი აქციის მიზეზებზე. არ იყო აღნიშნული მთავრობის მიერ საწვავის გაძვირების თაობაზე გაცხადებული მიზეზი - ემისიების შემცირება და პარიზის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

4. სანიტარული მდგომარეობა საჯარო სკოლებში, რაც ძალიან მტკივნეული და აქტუალური საკითხია. ნაჩვენები იყო არსებული სიტუაცია, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი მისი გამოსწორების შესაძლო გზებზე.

5. რუსეთიდან ეთნიკური ნიშნით დეპორტირებული მოქალაქის მიერ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის მოგება. ეს სიუჟეტი ინფორმაციული იყო და კარგად იყო დაკავშირებული რუსეთის მიერ ადამიანის უფლებების ახალ შემთხვევებთან.

6. საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი. განხილულ იქნა ამ გზაზე მიღწეული შედეგები და სამომავლო სტრატეგია. სიუჟეტი ინფორმაციული იყო.

7. ონლაინ შოპინგის საფრთხეები და თაღლითობის მსხვერპლი ეგვიპტელი ბიზნესმენი. სიუჟეტში აღწერილი იყო თაღლითური სქემა და რჩევები კიბერთაღლითობისგან თავის დასაცავად.

8. საზღვაო სანავიგაციო წესები. სიუჟეტის თემა ძალზე საინტერესო იყო, შინაარსი არ იყო ამომწურავი.

9.თბილისელების მიერ ეზოების და ქუჩების გამწვანება. კარგი იყო აქტიური მოქალაქეების საქმიანობის წარმოჩენის იდეა, მაგრამ სიუჟეტი გაწეილი იყო, განსაკუთრებით მისი დასკვნითი კადრები არაფერ ახალს არ მატებდა შინაარსს.

კრიტიკა:

ფოკაში მომხდარი მკვლელობის საკითხი არა მარტო არ იყო სიღრმისეულად გაანალიზებული, არამედ გრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გარკვეული სიმჰათია არსებობდა მოკლულის ოჯახის მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ.

გაუგებარია, რას ემსახურება გადაცემის დასაწყისში ანონსის თუ ახალი ამბების ბლოკი. ზოგ საკითხზე გადაცემაში არის სიუჟეტი, ზოგზე - არა. რატომ ქვია გადაცემას ახალი კვირა, როდესაც ის გასულ კვირას ეხება? წამყვანის როლი არ არის ჩამოყალიბებული. სიუჟეტები გაწეილია. მოკლედ, დასახვეწია გადაცემის სტრუქტურა, მესიჯები არ არის გამოკვეთილი, სიუჟეტები თითქოს შუა სიტყვაზე მთავრდება და გაუგებარია, რისი თქმა უნდოდათ ამ სიუჟეტით.

კითხვებზე პასუხი:

- 1.ასახავდა მცირე ოდენობით.
- 2.საუბარი ვრცლად შეეხო ამ თემას.
- 3.არ იყო მიკერძოებული.
- 4.თემები აქტუალური იყო.
- 5.გადაცემის ფორმატი არ იძლევა წამყვანის კვალიფიკაციის გამოჩენის შესაძლებლობას.

6. ეს ჯგუფები არ იყვნენ წარმოდგენილი, თუ არ ჩავთვლით ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას, რომელიც ფოკაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით იყო წარმოდგენილი.

გადაცემა „42-ე პარალელი“

გადაცემა „42-ე პარალელი“

10.11.2018

შინაარსი:

1. აშშ-ს სანქციები ირანს
2. იტალიის ბიუჯეტის პრობლემა
3. აშშ-ს არჩევნები

კრიტიკა:

გადაცემა საინტერესო და ინფორმატიული იყო, თუმცა ცოტა უსიციოცნლო.

შეიძლება საჭიროა წამყვანის მეტად გააქტიურება, რომ გადაცემა უფრო შეიკრას. კარგი იქნება თუ ბოლოს დაემატება კვირის ამბების მიმოხილვა.

კითხვებზე პასუხები:

2. ასრულებს, იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო პოლიტიკას შეეხება.
4. მთავარი თემა, რაც ალბათ აშშ არჩევნებს ეხებოდა, აქტუალურია და იყო საქართველოს არჩევნებთან მისი დაკავშირების მცდელობა.

5.წამყვანები და ავტორები ძალზე კვალიფიცირებული არიან და კარგად ფლობენ საკითხს.

7.არ ვიცი მსგავსი გადაცემა სხვა არხზე.

გადაცემა „42-ე პარალელი“

17.11.2018

შინაარსი:

გადაცემა სამი ნაწილისაგან შედგებოდა.

პირველ ნაწილში განხილული იყო პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ესკალაცია. მეორეში - მარველის კომიკები, მასამე ეძღვნებოდა I მსოფლიო ომის დაწყების 100 წლისთავს. სამივე თემა კვალიფიციურად იყო განხილული, საკმარისი ვიზუალური მასალით.

კრიტიკა:

ოდნავ გაუგებარი იყო საუბარი ომის დაწყების მიზეზებზე.

კითხვებზე პასუხები:

2.გადაცემა თავის შინაარსით სწორედ დასავლეთთან დაახლოებას ემსახურება.

3.ობიექტურია.

4.თემები აქტუალურია.

5.წამყვანები კვალიფიციურები არიან.

გადაცემა „42-ე პარალელი“

24.11.2018

შინაარსი:

გადაცემაში განხილული იყო თურქული ნაკადის პროექტით გათვალისწინებული მიწების გაყვანის მშენებლობის დასრულება, პროექტის მიზნები და შედეგები;

არგენტინის პრეზიდენტის სასამართლო პროცესის შესაძლო შედეგები;

ახალი ევროპის პრობლემები და სამი ზღვის პროექტის ინიციატივა, მისი მოწინააღმდეგეები და მომხრეები.

კრიტიკა:

კითხვებზე პასუხები:

2.გადაცემა მთლიანად მიმართულია ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე.

3.გადაცემა ობიექტურია.

4.თემები აქტუალურია.

5.წამყვანები კვალიფიციური არიან და კარგად ფლობენ და გადმოსცემენ საკითხის არსს.

გადაცემა „42-ე პარალელი“

1.12.2018

შინაარსი:

გადაცემაში განხილული იყო სამი თემა:

1.ერთიანი ევროპული არმიის შექმნის იდეა. შოთა თხელიძის მიერ მომზადებულ სიუჟეტში განხილული იყო ამ იდეის წარმოშობის ისტორია, ასევე ის სტიმული, რომელმაც იგი დღის წესრიგში დააბრუნა.

2.რუსეთისა და უკრაინის საზღვაო ძალების კონფრონტაცია ქერჩის სრუტეში რეზო ქოიავას მიერ იყო განხილული. საუბარი იყო უკრაინის რეაქციაზე, პოროშენკოსთვის მის მნიშვნელობაზე. კონფლიქტზე უკრაინის პასუხი განხილული იყო საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში. ასევე წარმოდგენილი იყო მისი მნიშვნელობა პუტინისათვის და განხილული იყო სამომავლოდ რუსეთის სამხედრო მოქმედებების გაგრძელების ალბათობის საკითხი.

3.„ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო გამოსვლები საფრანგეთში. მათე გაბიცანაშვილის სიუჟეტში ასახული იყო არსებული საპროტესტო აქციები, განხილული იყო საწვავზე ფასის გაზრდის მიზეზები. კონფლიქტი გაშუქებული იყო როგორც საზოგადოებრივი და არა პოლიტიკური მოძრაობა, რომელშიც ძირითადად დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენის მოქალაქეები მონაწილეობდნენ.

კრიტიკა:

სიუჟეტებში ნაწყვეტები ლიდერების საჯარო გამოსვლებიდან სუბტიტრებით იყო წარმოდგენილი, რაც აძნელებდა აღქმას. სიუჟეტი „ყვითელ ჟილეტებზე“ ანალიზის მიხედვით ოდნავ ჩამოუვარდებოდა წინა ორ სიუჟეტს.

კითხვებზე პასუხი:

1.ასახავდა.

2.მთლიანად ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის თემებს ეხებოდა.

3.ობიექტური იყო.

4.თემები აქტუალური იყო.

5.წამყვანიც და ანალიტიკოსებიც კვალიფიცირებული იყვნენ.

გადაცემა „42-ე პარალელი“

8.12.2018

შინაარსი:

გადაცემა დაიწყო ახალი ამბების ბლოკით. გადაცემაში სიუჟეტები ენებოდა კვირის ორ მნიშვნელოვან მოვლენას, კერძოდ, ბუშის გარდაცვალებას და დიდი ოცეულის სამიტს.

თხელიძის მიერ კარგად იყო შეჯამებული ბუშის პრეზიდენტობის დროინდელი მიღწევები საერთაშორისო პოლიტიკაში. მითითებული იყო მისი პოლიტიკის მამოძრავებელი პრინციპები და ის ქმედებები, რომლებიც ერთგვაროვან შეფასებას არ იწვევდა.

მეორე სიუჟეტში აღწერილი იყო დიდი ოცეულის სამიტის ძირითადი საკითხები და მსოფლიო ლიდერთა დამოკიდებულებები. შეფასებული იყო მისი შედეგები.

მესამე სიუჟეტი ენებოდა მერკელს და მის პოლიტიკურ მომავალს. შეჯამებული იყო მისი მოღვაწეობა და ძირითადი გამოწვევები. მერკელის პოლიტიკა განხილული იყო ზოგადად გერმანიის პოლიტიკური კულტურის კონტექსტში.

კრიტიკა:

გადაცემა საინტერესო იყო, სიუჟეტები პროფესიულად მაღალ დონეზე მომზადებული, ხოლო წამყვანები კვალიფიცირებული. ყველაზე ინფორმაციული იყო სიუჟეტი ბუშის თაობაზე.

კითხვებზე პასუხი:

1.ეს საკითხი ნაკლებ აქტუალურია ამ გადაცემისათვის.

2.მთლიანად ეხებოდა ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

3.გადაცემა ობიექტურია.

4.თემები აქტუალურია.

5.წამყვანები საკითხს ზედმიწევნით ფლობენ.

გადაცემა „რეალური სივრცე“

გადაცემა „რეალური სივრცე“

10.11.2018

შინაარსი:

გადაცემის თემა იყო შშმ პირების დეინსტიტუციონალიზაცია. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ახლების გახსნის ნაცვლად ხდება საოჯახო სახლების დახურვა.

კრიტიკა:

გადაცემა დომინირებული იყო პარლამენტარის მიერ. ის დასმულ კითხვებს ფაქტობრივად ვერ პასუხობდა, მაგრამ სტუდიიდან მას არც წამყვანი და არც გადაცემის მონაწილეები სთხოვდნენ პასუხის დაკონკრეტებას. ერთადერთ გამონაკლისს ანა არღანაშვილი წარმოადგენდა.

იმავე გადაცემაში როგორც წამყვანის, ასევე მაყურებლის მხრიდან ოდნავ პატერნალისტური დამოკიდებულება იყო ახალგაზრდა აქტიური შშმ პირის გამოსვლების მიმართ.

კითხვებზე პასუხები:

2. იყო მინიშნებები საერთაშორისო სტანდარტებთან კანონის და მისი აღსრულების მიახლოების აუცილებლობაზე.

3. თემა მნიშვნელოვანია.

5. წამყვანი კვალიფიცირებული და გადაცემისთვის მომზადებულია.

6. აშკარად აძლევს.

გადაცემა „რეალური სივრცე“

17.11.2018

შინაარსი:

გადაცემა ეხებოდა ჭარბვალუიანობას და ეროვნული ბანკის რეგულაციებს მის შესამცირებლად.

საკითხის მრავალი ასპექტი იყო გაშუქებული, განმარტებული იყო ტერმინები და რეგულაციების ლოგიკა. აუდიტორია შედგებოდა ექსპერტებისაგან, ბიზნესის წარმომადგენლებისაგან და ადვოკატებისაგან. ფაქტობრივად, ყველა მხარე იყო წარმოდგენილი გარდა ეროვნული ბანკისა, რომლის წარმომადგენლები არ დათანხმდნენ გადაცემაში მონაწილეობაზე და იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც ბანკის ვალი აქვთ.

კრიტიკა:

გადაცემის წამყვანი აქტიური იყო, კარგად მართავდა გადაცემას, აჯამებდა გამომსვლელების პოზიციებს. გადაცემა იყო საინტერესო და ინფორმაციული. სტუმრები კარგად იყვნენ შერჩეული და საგნის ცოდნით გამოირჩეოდნენ.

კითხვებზე პასუხები:

1. მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო. გამოთქმული იყო საწინააღმდეგო მოსაზრებები რეგულაციების საჭიროების და მისი შესაძლო შედეგების თაობაზე.

2. მოყვანილი იყო მაგალითები სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან.

3. ობიექტურად იყო გაშუქებული სხვადასხვა პოზიციები რეგულაციებთან დაკავშირებით.

4. თემა აქტუალურია.

5. წამყვანი კვალიფიცირებულია, მის მიერ დასმული კითხვები ადეკვატური.

გადაცემა „რეალური სივრცე“

24.11.28

შინაარსი:

გადაცემა ეძღვნებოდა საპრეზიდენტო კანდიდატების სოციალურ პროგრამებს, უფრო სწორად დაპირებებს სოციალური პოლიტიკის სფეროში. გადაცემა დაიწყო კლიპით, რომელიც იყო ძალიან გრძელი.

განხილული იყო შემწეობების და პენსიების თემები, შშმ პირების პრობლემები, სამედიცინო მომსახურების საკითხები, ემიგრაცია, განათლება რაიონებში, მთის და რეგიონების პრობლემები, სარეკლამო კამპანიის შეფასება. ჩამონათვალიდან ჩანს, რამდენად ბევრი იყო განხილული თემა, რისი გაკეთებაც 1.30 წუთის განმავლობაში შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, რომ ემიგრანტის ჩართვა ლონდონიდან იყო ძალიან გრძელი.

კრიტიკა:

თემა კარგად იყო შერჩეული, თუმცა დიდი იყო და ჯობდა მინიმუმ ორ გადაცემაში მომხდარიყო მისი განხილვა ან ორი ძირითადი თემა ყოფილიყო

გამოკვეთილი. კლიპი, რომლითაც დაიწყო გადაცემა, იყო ძალიან გრძელი. ასევე ძალიან გრძელი იყო, თუმცა საინტერესო, ემიგრანტის ჩართვა ლონდონიდან. კითხვა იმის თაობაზე, სარეკლამო კამპანიის ძირითადი საკითხი, ის, რასაც მოსახლეობას პირდებოდნენ კანდიდატები, რამდენად თავსდებოდა მათ სამომავლო კომპეტენციაში, მხოლოდ გადაცემის ბოლოს იქნა წამოჭრილი.

დადებითი იყო არაერთი მონაწილის მიერ ხაზგასმა ზოგადად მომავლის ხედვაზე, სისტემური მიდგომის აუცილებლობაზე, განვითარებასა და მომავალზე ორიენტაციაზე და იმაზე მინიშნება, რომ ორივე კანდიდატი წარსულს წარმოადგენდნენ და მასზე იყვნენ მიჯაჭვული. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს გადაცემაში ორივე პოლიტიკური ძალის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების მქონე პირების წარმოჩენა.

კითხვებზე პასუხები:

1.გადაცემა დაბალანსებული იყო იმ მხრივ, რომ წარმოადგენდა ძირითადად საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც არ იყო რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის თავგამოდებული გულშემატკივარი.

2.ამ საკითხზე საუბარი არ ყოფილა.

3.გადაცემა ნამდვილად მიუკერძოებელი იყო.

4.თემა იყო აქტუალური.

5.უმცირესობები შშმ პირის სახით იყო წარმოდგენილი.

გადაცემა „რეალური სივრცე“

1.12.2018

შინაარსი:

გადაცემის თემა იყო საქართველოს მომავალი. ის, თუ რა აჩვენა საპრეზიდენტო არჩევნებმა და როგორ ქვეყანაში გვსურს ცხოვრება. გადაცემის სტუმრები იყვნენ ახალგაზრდები. გადაცემის პირველ ნაწილში საარჩევნო კამპანია და არჩევნების პროცესი იყო განხილული. წინასაარჩევნო კამპანია ყველას მიერ ძალზე უარყოფითად იქნა შეფასებული. ჩანდა, რომ მოწვეული სტუმრები ორივე მხარეს წარმოადგენდნენ, თუმცა უმეტესობას წარმოადგენდნენ ისინი, ვინც არც ერთი პოლიტიკური ძალით არ იყო მოხიბლული. სიტუაცია საზოგადოების პოლარიზაციის საფუძვლების შესახებ საინტერესოდ იყო განხილული. აქცენტირებული იყო ორ პოლიტიკურ ძალთა იდეოლოგიური მსგავსება, ზოგის აზრით კი, იდეოლოგიის უბრალოდ არარსებობა, რამაც გამოიწვია ამ ძალების მიერ მოწინააღმდეგეების პროვოცირება.

გადაცემა წარიმართა ქვეყნის პოლიტიკის ორიენტაციის გარკვევის აუცილებლობის ხაზგასმით. მონაწილენი ძირითადად მემარცხენე იდეოლოგიას უჭერდნენ მხარს და ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზას მემარცხენე პოლიტიკის განხორციელებაში ხედავდნენ. გამოითქვა საინტერესო მოსაზრებები და რამდენჯერმე წარმოიშვა დავა პრივატიზაციის, ასევე უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ. საინტერესო იყო ჩართვა საბერძნეთიდან.

კრიტიკა:

ვფიქრობ, მსჯელობები სატელევიზიო ფორმატისათვის ზედმეტად თეორიული იყო, გადაცემაც თითქოს ოდნავ წამყვანის კონტროლიდან გავიდა და ძირითადად მემარცხენე იდეოლოგიის ავკარგიანობას დაეთმო. სიტუაციის კრიტიკა საინტერესო იყო, საბერძნეთში მცხოვრები სტუდენტის მიერ ქვეყანაში არსებულ ძალად დასახლებული იყო ეკლესია. ამ ფაქტორზე, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკაზე, დისკუსია იშვიათია. რაც შეეხება მომავლის ხედვას, აქ იდეებიც ცოტა იყო და გადაცემისთვის დარჩენილი დროც. კარგი იყო, რომ წარმოდგენილი იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ არც ოპოზიციის და არც მმართველი პარტიის მხარდამჭერები.

კითხვებზე პასუხი:

1. მრავალფეროვნება ასახული იყო, თუმცა არათანაბარი ოდენობით.

3. გადაცემა ობიექტური იყო, საკმაოდ კრიტიკული ხელისუფლების მიმართ. წარმოდგენილი იყვნენ ისინი, ვინც არ იყვნენ არც ოპოზიციის და არც მმართველი პარტიის მხარდამჭერები.

4. სადისკუსიო თემა აქტუალური იყო.

5. წამყვანი კვალიფიციურია.

6. უმცირესობების წარმომადგენლები არ იყვნენ წარმოდგენილი, თუმცა წარმოდგენილი იყო ემიგრანტი, ასევე ისინი, რომლებიც არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერენ მხარს.

გადაცემა „რეალური სივრცე“

8.12.2018

შინაარსი:

გადაცემა ენებოდა კიბოს დაავადების მართვას. მოწვეული იყვნენ როგორც პაციენტები, ასევე მედიკოსები, სამინისტროს წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. საუბარი ძირითადად ენებოდა მკერდის კიბოსა და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვას.

პაციენტებმა გააჟღერეს ის ძირითადი პრობლემები, რაც მათ შეხვდათ დიაგნოსტიკიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე. ეს პრობლემები ძირითადად ენებოდა ინფორმაციის სიმწირეს და ექიმთან შეზღუდულ კომუნიკაციას. თავის მხრივ, ექიმებმა კომუნიკაციის სიმცირის მიზეზად დროის უკმარისობა დაასახელეს.

განხილული იყო ასევე კიბოს შემთხვევების მკვეთრი ზრდა და მისი მიზეზები. აღნიშნული იყო პრევენციისა და პირველადი ჯანდაცვის განვითარების და ეპიდემიოლოგიური კვლევების წარმოების აუცილებლობა.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა კიბოს მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების პროექტის მიმდინარეობაზე და მის პოტენციურ შედეგებზე. რეაბილიტაციის აუცილებლობასა და ამ მხრივ არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივობებზე ისაუბრეს ორგანიზაცია „გამარჯვებული ქალების“ დამაარსებელმა და მისმა წევრმა ქალებმა. საუბარი შეეხო ასევე კიბოს რეგისტრს და მის დადებით შედეგებს დაავადების მართვის პოლიტიკის დასახვეწად.

გადაცემის საბოლოო დასკვნაში გამოიკვეთა დაავადების მართვის ერთიანი ჯაჭვის შექმნის აუცილებლობა, მოქალაქეთა სამედიცინო საკითხებში გაცნობიერების და მოქალაქეთა მიერ საკუთარ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობა, სპეციალური პერსონალის გამოყოფის საჭიროება პაციენტთან კომუნიკაციის მიზნით და ამ კომუნიკაციაში პაციენტების ოჯახის წევრების ჩართვის აუცილებლობა.

გადაცემის ბოლოს საკითხი დაისვა საქართველოდან გადინებული თანხების თაობაზე საზღვარგარეთ სამკურნალოდ.

კრიტიკა:

გადაცემა საინტერესოდ წარიმართა. დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ პაციენტების ხმა გაჟღერებული იყო. ასევე კარგი იყო ის, რომ სხვა სამედიცინო თემაზე მომზადებული გადაცემებისგან განსხვავებით, ექიმები თითქმის არ იყენებდნენ სამედიცინო ტერმინებს და მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე მეტყველებდნენ. გადაცემა საკმაოდ ინფორმაციული იყო.

ვფიქრობ, რომ გადაცემის ბოლოს წამოჭრილი საკითხი საზღვარგარეთ სამკურნალოდ საქართველოდან გადინებული თანხების თაობაზე საერთოდ არ

უნდა ყოფილიყო დასმული, ან დასმული უნდა ყოფილიყო უფრო ადრე გადაცემაში და კონკრეტულად უნდა შეხებოდა იმ ორ დაავადებას, რაზეც იყო ფოკუსირებული გადაცემა. ამ შემთხვევაში კი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი ჰაერში დარჩა გამოკიდებული.

კითხვებზე პასუხი:

- 1.ხედვები დაბალანსებული იყო.
- 2.ამ საკითხს არანაირად არ ეხებოდა.
- 3.გადაცემა ობიექტური იყო.
- 4.თემა აქტუალური იყო.
- 5.წამყვანი ფლობდა საკითხს.
6. პაციენტებს ჰქონდათ გადაცემაში აზრის გამოხატვის საშუალება.

გადაცემა „აქტუალური თემა“

16.11.2018

შინაარსი:

გადაცემა მიჰყავდა გვიმრაძეს, სტუდიაში დამატებით მონაწილეთა შორის იჯდა სამი ანალიტიკოსი.

განხილული იყო ორი ძირითადი თემა, სამართლებრივი სახელმწიფო და განათლება. აუდიტორიას წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები. პირველი თემა წარიმართა არჩევნების კონტექსტში, თუმცა წამყვანმა არაერთხელ აღნიშნა, რომ მას უფრო მეტად აინტერესებდა მთავრობისა და მოქალაქეების ინტერაქციის საკითხები, ამდენად თემა ცოტა გაექცა.

განათლებაზე დისკუსია იყო ძალიან ხანგრძლივი და ფოკუსის გარეშე. მოწვეული ანალიტიკოსები ხანგრძლივად საუბრობდნენ, წამყვანი დისკუსიაში ნაკლებად ერეოდა, გამოსვლებს არ აჯამებდა და ძირითადად მიკროფონის დელეგირებით იყო დაკავებული.

კრიტიკა:

გადაცემა დადგმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აუდიტორიას მომზადებული ჰქონდა საშინაო დავალება და წამყვანი მათ აძლევდა მისი ჩაბარების შესაძლებლობას. გადაცემა გრძელი იყო და მოსაწყენი. წამყვანი არ იყო საკმაოდ აქტიური, არ მართავდა და არ აჯამებდა გამოსვლებს.

კითხვებზე პასუხები:

1.პარტიები წარმოდგენილი არ იყო, ვინ ვისი მიმდევარი იყო, ნაკლებად ჩანდა, ამიტომ ბალანსის საკითხი არ იყო აქტუალური.

2.საუბარი იყო განსაკუთრებით პირველ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე.

4.პირველი თემა აქტუალური იყო, მეორე – განათლება ზოგადად აქტუალური, მაგრამ დღევანდელ დღესთან მიმართებაში ნაკლებად.

5.წამყვანი არ ამჟღავნებდა ცოდნას საკითხის შესახებ.

6.უმცირესობის საკითხებს შეეხნენ განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით.

გადაცემა „აქტუალური თემა“

6.12.2018

შინაარსი: გადაცემის რესპონდენტი იყო თეა წულუკიანი. ინტერვიუ ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

1.ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით. განხილული იყო მინისტრთა კომიტეტის ფუნქცია და შემდეგ უფრო დეტალურად მერაბიშვილთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი.

2.გოჩა ლორთქიფანიძის არჩევა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაზარალებულთა ფონდის დირექტორატში. განხილული იყო ფონდის საქმიანობის ძირითადი სფერო, დირექტორატში საქართველოს წარმომადგენლის არჩევის შესაძლო შედეგები.

3.განხილული იყო ახალი კონსტიტუციის მიხედვით უზენაესი სასამართლოს წევრებისა და მისი თავმჯდომარის არჩევის ახალი წესების არსი. რესპონდენტმა ისაუბრა ახალი წესების უპირატესობაზე არსებულ წესებთან შედარებით. გადაცემის წამყვანმა წულუკიანს დაუსვა ერთი-ორი შეკითხვა შერჩევის შედეგების შესახებ.

4.ოპოზიციის მიერ დასმული საკითხი არჩევნების ლეგიტიმურობის შესახებ და ჰააგის სასამართლოში ამის გასაჩივრების შესაძლებლობა და პროცედურა.

კრიტიკა: ინტერვიუ კარგი და ინფორმატიული იყო, თუმცა ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ შემდგომი შეფასების შინაარსი არ იყო საკმარისად და გასაგებად განხილული. ამასთან დაკავშირებით არ იყო დასმული კრიტიკული კითხვები.

კითხვებზე პასუხი:

1.მრავალფეროვნებას ვერ ასახავდა, რადგან მხოლოდ ერთი რესპონდენტი იყო. მის მიმართ შეკითხვები არ იყო კრიტიკული.

2.ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულად შეიძლება იყოს განხილული ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოებზე საუბარი.

3. მიკერძობების ნიშნები იყო მერაბიშვილის საკითხთან დაკავშირებით. არ იყო დასმული კრიტიკული კითხვები. სასამართლოს წევრების არჩევასთან დაკავშირებითაც შეიძლებოდა საუბრის გამწვავება.

4. თემები მეტ-ნაკლებად აქტუალური იყო

5. წამყვანი საკითხს მეტ-ნაკლებად ფლობდა. სტუმარი სწორედ იყო შერჩეული. დასმული კითხვები არ იყო კრიტიკული.

გადაცემა „აქტუალური თემა“

7.12.2018

შინაარსი:

გადაცემის თემას არჩევნები წარმოადგენდა. წამყვანმა - მაკა ცინცაძემ თავიდან დაასახელა საკითხები, რომელთა განხილვასაც აპირებდა, კერძოდ, არჩევნების შედეგების შინაარსობრივ შეფასებას, იმას დადგენას თუ რას ნიშნავდა ეს მმართველი გუნდისთვის და ოპოზიციისთვის, რამდენად არსებობდა მათ შორის თანამშრომლობის შესაძლებლობა და რამდენად გამოხატავდა ოპოზიცია მოსახლეობის პოზიციას არარეგულარულ არჩევნების ჩატარების თაობაზე. გადაცემის პირველი სტუმარი იყო გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი გუბაზ სანიკიძე. სტუმარმა შეაფასა საარჩევნო გარემო და აღნიშნა, რომ მისი პარტია არ იზიარებს არჩევნების არაღიარების პოლიტიკას და არ მიიღებს მონაწილეობას საპროტესტო აქციაში. მან ასევე აღნიშნა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა მოსახლეობის ნდობა, რასაც აუცილებლად მოსდევს ხოლმე ხელისუფლების შეცვლა.

გადაცემის მეორე სტუმარი იყო მმართველი პარტიის წარმომადგენელი, პარლამენტარი ზვიად კვაჭანტირაძე. პარლამენტარის თავშეკავებულად ოპტიმისტური გამარჯვებულის პოზიციიდან შედეგების განხილვას მოჰყვა

დისკუსია სტუდიაში. მონაწილეებს შორის გაიმართა მწვავე კამათი, პოზიციების მიუღებლობით.

კრიტიკა:

მოწვეული სტუმრების პოლიტიკური აფილაციის მიხედვით, გადაცემა დაბალანსებული იყო და მასში ორი პოლიტიკური ძალის მიმდევრების გარდა ორივესადმი უარყოფითად განწყობილი სტუმარიც მონაწილეობდა. დისკუსია წარიმართა კონფრონტაციულად, წამყვანი ვერანაირად ვერ მართავდა მას.

წამყვანი უმრავლეს შემთხვევაში თავაუღებლად კითხულობდა კითხვებს. პირველ ორ ინტერვიუში, ასევე დისკუსიის ბოლოს ის ძალზე მკვეთრად, როდესაც მას, როგორც ჩანს, ყურში ეუბნებოდნენ, რომ დრო ამოიწურა, დასრულების მიზნით მადლობას უხდოდა რესპონდენტს, მის მიერ წინადადების დასრულებამდე. ეს კი აშკარა მინიშნება იყო იმაზე, რომ მას რესპონდენტის პასუხი არ აინტერესებდა.

წამყვანის მიერ გადაცემის არაკვალიფიციურად წყვანის გარდა, მთავარ პრობლემას მაინც გადაცემის დაგეგმილი შინაარსი წარმოადგენდა. გაუგებარია, არჩევნების ჩატარების 10 დღის შემდეგ რას ემსახურებოდა დასმული კითხვები. შედეგად კიდევ ერთხელ მოვისმინეთ ორივე მხარის წინასაარჩევნო რიტორიკა, ისევ წარსულზე ორიენტირებული მესიჯები “მე თუ ცუდი ვარ, შენ ჩემზე უარესი იყავი”. ის, რისი გაგონებაც, რაც არაერთხელ იქნა აღნიშნული, მოსახლეობას მობეზრდა და იყო პირველ ტურში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი.

კითხვებზე პასუხი:

1. დაბალანსებული იყო.

2. ამ საკითხს გადაცემა არ შეხებია.

3.ფორმალურად მიუკერძოებელი იყო, თუმცა სახელისუფლო პარტიისადმი სიმპათია ჩანდა.

4.არ იყო აქტუალური და ვფიქრობ. საზიანოც კი იყო ისევ წარსულზე კონცენტრაცია.

5.წამყვანი არ იყო კვალიფიციური, ვერ ფლობდა ვერც სიტუაციას სტუდიაში და ვერც საკითხს, რომლის შესახებაც შესთავაზა სტუმრებს დისკუსია.

6.უმცირესობების პოზიცია გამოხატული არ იყო.